პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 87 ხუთშაბათი, 19 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 87

დღიური

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთორმეტე ყრილობა.

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარმა დაიკავა [illegible] ოთხი მაღარო და განაგრძობს ახალი ადგილების ოკუპაციას.

რურის ოლქის 280 რ-ინ. ს გზის სადგურებიდან საფრანგეთის ჯარს დაკავებული აქვს 170 სადგური. დანარჩენ სადგურებში ყოველივე მოძრაობა შეწყვეტილია.

საფრანგეთის ჯარმა დიუსელდორფში მიითვისა უმუშევართა ოცნახევარი მილიონი მარკა

ბულგარიის კომუნისტური პარტია დიდ კამპანიას აწარმოებს მუშურ-გლეხური მთავრობის შესაქმნელად.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზტრესტი)
(რუსთაველის პრ. № 24, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—
ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.
5—5

საქ. კომ. პარ. ტფ. კომ. წინადადებას იძლევა ხუთშაბათს, 19 აპრილს

ერთიან პარტიულ დღეს

დაისვას საკითხი

პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ

თეზისები გამოქვეყნებულია გაზეთებში.
ტფ. კომ. მდივნის მაგიერი ივანოვი-კავკაზსკი.

ხუთშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 5 საათზე
სახალხო სახლის დარბაზში შესდგება

ტფილ. საბჭოს კომფრაქციის სხდომა

დღის წესრიგი:
1. საშინაო პოლიტიკა. 2 ფრაქციის ბიუროს მოხსენება.
ფრაქციის ყველა წევრები ვალდებული არიან თავის დროზე დაესწრონ სხდომას.
(კრ. 328 2—2) **ფრაქციის ბიურო.**

პარტიის მე-XII ყრილობა

17 აპრილს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობა.

მომხსენებლად პარტიის ცეკას პოლიტიკური ანგარიშის შესახებ, ამ საკითხზე მუდმივი მომხსენებლის ამხ. ლენინის მაგივრად, მისი ავადმყოფობის გამო, გამოვიდა ამხ. ზინოვიევი. მაგრამ ამხ. ლენინი მაინც უჩინრად ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას და აძლევს მას მიმართულებას, როგორც მთელი თავისი წინანდელი მოღვაწეობით და მოციმციმე დირექტივებით, ისე უკანასკნელი წერილობითი გამოსვლებით, რომლებშიაც გარკვეულია პარტიის წინაშე მდგარი მთავარი ამოცანები.

ზინოვიევის ანგარიში არსებითად შეიცავს ლენინის აზრების გადმოცემას. რანაირია მთავარი მომენტები ამ მოხსენების?

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა სიმტკიცე საბჭოთა ხელისუფლების, როგორც საშინაო ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში.

მთელი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა აქტიურად უჭერს მხარს კომუნისტურ პარტიას და მუშურ-გლეხურ მთავრობას.

ეს მიეწერება ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც დამყარებულია საერთაშორისო პირობების და ქვეყნის სოციალურ ძალების და ეკონომიურ მდგომარეობის სწორ აღრიცხვაზე.

მსოფლიო რევოლუციის დაგვიანებამ და ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენილობამ და მის მეურნეობის გლეხურმა ხასიათმა განსაზღვრა ჩვენი პოლიტიკა. აქედან წარმოიშვა ე. წ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, უკან დახევა ეკონომიურ ფრონტზე და სახელმწიფო კაპიტალიზმზე გადასვლა.

საბჭოთა ხელისუფლების მტრები დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩვენი პარტიის მიერ ეკონომიური პოლიტიკის გეზის შეცვლაზე, მისგან მოელოდნენ საბჭოთა ხელისუფლების შინაგან გადაგვარებას, მის ევოლუციას ბურჟუაზიულ დემოკრატიის მიმართულებით. მაგრამ მათი იმედები დაიმსხვრა აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევებშიც.

კომუნისტურმა პარტიამ საზღვარი დაუდვა ეკონომიურ დარგში უკან დახევას, ახალი ეკონომიური პოლიტიკა საფუძვლიანად გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, სახელმწიფო მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად.

პარტიის მე-11 ყრილობაზე ლენინმა აღნიშნა „უკანდახევის“ შეჩერების აუცილებლობა, მე-12 ყრილობაზე ზინოვიევმა დაადასტურა, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მართლა შევსძელით ამის შესრულება, შევინარჩუნეთ ყველა „მბრძანებელი მწვერვალები“ და ეკონომიური შემოქმედების გზით შევუდექით ახალ-ახალ პოზიციების დაპყრობას. ამას მოწმობს ქვეყნის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის უტყუარი გამოცოცხლება და გაჯანსაღების მკვიდრ გზაზე შედგომა. თუ რამდენად ეს თვალსაჩინოა, სხვათა შორის, სჩანს იქიდანაც, რომ დღეს ჩვენ ვეძებთ ბაზარს პურის გასაღებისათვის. ქვეყანა, რომელიც გუშინ და გუშინწინ სიმშილით იხრჩობოდა, დღეს პურისათვის ბაზრის შოვნაზე ლაპარაკობს. ეს მეტისმეტყველური მაჩვენებელია ჩვენი მეურნეობის აღორძინების. მაგრამ ამას სხვა მხრივ აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა. საქმე ის არის, რომ ეხლა საგრძნობლად დარღვეულია წონასწორობა მრეწველობის წონასწორობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულების შორის უკანასკნელი გაცილებით იაფად ფასობს, რაც განადგურებას უქადის სასოფლო მეურნეობას და საბოლოო ანგარიშით მრეწველობასაც, და რაც ამასთან დაბრკოლებს გლეხობის კავშირის შემდეგი განმტკიცებას მუშათა კლასთან. ჩვენც აქაც, საქართველოშიაც ყველანი მწვავედ ვგრძნობთ ამას. ზინოვიევიც ამ გარემოებაზე აქცევს ყრილობის განსაკუთრებულ ყურადღებას და მოითხოვს, სასოფლო მეურნეობის აყვავების და გლეხობასთან კავშირის განმტკიცების მიზნით, საჭირო საშუალებათა გამონახვას.

მრავალი სხვა საკითხებია წამოჭრილი დღევანდელ სინამდვილეში: სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება, ფინანსების მოგვარება, ეროვნებათა ურთიერთი დამოკიდებულების უფრო კონკრეტ და ნორმალურ ფორმებში ჩამოყალიბება და სხ. ყველა ეს საკითხები უაღრესად პრაქტიკული ხასიათისაა, რომელთა რაციონალურ გადაჭრაზე დამოკიდებულია საბჭოთა ფედერაციის ეკონომიკის განვითარება, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, მშრომელთა შეკავშირება.

ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთებულია, უმთავრესი სიძნელენი გადალახულია, რამაც საბჭოთა რესპუბლიკები გაამაგრა არა მარტო შინ, არამედ განამტკიცა საერთაშორისო მასშტაბით. ზინოვიევმა ხაზი გაუსვა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის სიმტკიცეს. ბურჟუაზიული ქვეყნები, უმთავრესად მსოფლიო ომში დამარცხებულნი, ეძებენ ჩვენთან დაახლოვებას. ჩვენ არ უარვყოფთ შეთანხმებებს კაპიტალისტურ სახელმწიფოების მთავრობებთან, სანამ იქ მუშათა კლასს არ ჩაუგდია ხელში ძალა-უფლება, თუ ამ შემთხვევაში დაცული იქნება საბჭოთა ქვეყნების სუვერენული უფლებები და რევოლუციის ინტერესები. ამასთან საბჭოთა ხელისუფლებას დიდი სიმპატია აქვს მოპოვებული აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც მათი რევოლუციონურ-ნაციონალური ინტერესები უთანხმდება ჩვენი რევოლუციის და მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესებს.

ყოველ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკაა—ზავი ყველა ქვეყნებთან.

დღეს დღეობით ჩვენ არ მოგვილის უშუალო საშიშროება იმპერიალისტური თავდასხმის. მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ ხელი გულზე დავიკრიფოთ. მსოფლიო ომი მოსალოდნელია იგი უკვე დაწყებულია რურში, თუმცა სხვა ფორმით. ჩვენ მსოფლიო კონფლიკტში არ ჩავერევით, ჩვენ კიდევ გვესაჭიროება დასვენება სამეურნეო აღმშენებლობისათვის. ამასთან საჭიროა დარაზმვა და მზად ყოფნა ყოველ მოსალოდნელ შემთხვევისათვის.

ჩვენ შევსძლებთ როგორც ქვეყნის მეურნეობის აღორძინებას, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, ისე თავდაცვას გარეშე საშიშროებიდან

ამის უმთავრესი თავდებია ჩვენი პარტიის რიგების სიმჭიდროვე, ერთსულოვნება და სიმტკიცე, რაც ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ზინოვიევმა.

ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ პარტიის ყრილობა წარმატებით გადასჭრის ყველა მის წინაშე მდგომ საკითხებს და ხელს შეუწყობს საბჭოთა ქვეყნების შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას.

ყველა ჯარში გაწვეული მუშის და გლეხის მოვალეობაა ერთგულად იმსახუროს წითელ ჯარში. ვინც გაურბის წითელ ჯარს, ის მტერი და მოღალატეა მუშების და გლეხების.

საქმე ვაკეთოთ...

მე დიდი მოწინააღმდეგე ვარ მეტი ლაპარაკისა და კამათისა, განსაკუთრებით ამა თუ იმ პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტის დროს. მიუხედავათ ამისა, გავეცანი თუ არა, ჩემს შორეულ მივლინებიდან დაბრუნებისას, წერილს, მოთავსებულს ამხანაგ ერქომაიშვილის მიერ გაზეთ „კომუნისტში“ № 67, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო არსებითად ძირითად საკითხს ამიერ კავკასიაში მატყლის შემამზადებელ ორგანოს დაარსების შესახებ. ვეხები მხოლოდ არსებითად ძირითად საკითხს, ვინაიდან არა მაქვს არც დრო და არც, მით უმეტეს, სურვილი დაწვრილებით შევჩერდე ავტორის მიერ სხვათა შორის წამოყენებულ საკითხებზე, სასურსათო სახალხო კომისარიატში ჩემი, როგორც კომერციულ ოპერაციების ხელმძღვანელის მოქმედების შესახებ.

ჩვენი მუშაობა ამხ. ერქომაიშვილთან ერთად სასურსათო სახალხო კომისარიატში ცხადია ყველასათვის, როგორც პასუხისმგებელ მომუშავეთათვის, აგრეთვე ფართო მუშათა მასისათვის და არა მგონია, რომ მათში ხელახლად აღიძრეს ინტერესი ჩვენი ძველი კამათის შესახებ იმის გამო, თუ რა არის მარგებელი და რა საზიანო კომერციულ ცოცხალ ორგანოს საქმისათვის. მხოლოდ აშკარა ციფრები სასურსათო სახალხო კომისარიატის დავთრებისა დასდებენ სამართლიან მსჯავრს ჩვენ მოქმედებას კომისარიატში,

მაგრამ დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

ამხ. ერქომაიშვილის წერილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მას შეუგნია ბოლოს და ბოლოს უდიდესი მნიშვნელობა მატყლის მოგროვებისა და მისი რეალიზაციისა, ვინაიდან ის არის ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგი.

ავტორი აღიარებს, რომ ვინაიდგან პირობები მეცხვარეობისა და მატყლის ბაზრისა მთელ ამიერ-კავკასიაში ერთგვარია, ამიტომ უკვე საჭიროა შეერთება რესპუბლიკის ორგანოების დამზადების ოპერაციებისა, იმ ორგანოების, რომელნიც ამზადებენ მატყლს, ან დაინტერესებული არიან მის დამზადებაში.

ჩვენ, როგორც მონაწილეს ასეთ დიდ მნიშვნელოვან ორგანოს დაარსებისას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი შეერთება უფრო დიდ (ამიერ-კავკასიის) ორგანიზაციასთან ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით იმას, რომ ამხ ერქომაიშვილი თანახმაა ამ გაერთიანებისა,

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, რასაკვირველია, ტეხნიკური მხარე საქმისა. და ტყუილად მიაჩნია ამხ. ერქომაიშვილს კარგ სავაჭრო აპარატის და შესაფერ შტატის შექმნა ადვილ ამოცანად, მეტს სიძნელეს წარმოადგენს შესაფერისი გამოყენება შრომისა, მოსამსახურეთა ცოდნისა და ღირსეულად დაფასება საუკეთესო პირებისა იმათი წრიდან. ამგვარი თვისებების უქონლობა ჩვენი ეკონომიური ორგანოების ზოგიერთ ხელმძღვანელთა შორის არის ხშირად მიზეზი კარგად დაწყობილ კომერციულ საქმის დაშლისა.

საერთოდ მთელი დეკლარატიული ნაწილი ამხ. ერქომაიშვილის წერილისას წარმოადგენს წარსულში ჩვენ მიერ გამოთქმული აზრების განმეორებას და დადასტურებას.

უფრო მეტად სუსტია მეორე ნაწილი ამხ. ერქომაიშვილის წერილისა, სადაც ის ყოველივე ღონისძიებით ცდილობს ჩვენ გაგვამტყუნოს, მოგვახვიოს თავზე ყველა ცოდვები.

მაგალითად ის გვაბრალებს ჩვენ მიერ საზოგადოების „საქართველოს მატყლის“ უყურადღებოდ დატოვებას და მისი წარმომადგენლების არ მოწვევას ამ.-კავკ. სახ. ვაჭრობის ორგანოს საორგანიზაციო კრებაზე. ეს მოკლებულია სიმართლეს. ჩვენ კრებაზე დაესწრნენ „საქ. მატყლის“ ყველა შემადგენელ ნაწილების წარმომადგენელნი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან მატყლის შეკრეფაში. დაესწრნენ მაგალითად; წარმომადგენელი ამხანაგობა „შერსტის“, მოქალაქე ბრანდტი და საზოგადოება „მწყემსი“-სა.

რაც შეეხება „გრუზშერსტის“ მიერ დამზადებული მატყლის რაოდენობას, ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ ხელთ გვაქვს ის გეგმა სასურსათო კომისარიატის კომერციულ ნაწილისა, შედგენილი სასურსათო კომისარიატის დირექტორის, ამხ. ჯაფარიძის მიერ და მოწონებული კოლეგიაში, რომლის მიხედვით უნდა დამზადებული ყოფილიყო 80 ათასი ფუთი, ხოლო დამზადებული კი იქმნა, როგორც ამტკიცებს ამხ. ერქომაიშვილი, 18 ათას ფუთი. აქედან აშკარაა, რომ „გრუზშერსტს“ არა აქვს სახსარი ამ რაოდენობის მატყლის შეკრებისა საქართველოს საზღვრებში. ამას აღნიშნავს თვით ამხ. ერქომაიშვილი. ის სწერს: „არც ერთი სიტყვით მე არ აღმინიშნავს, რომ შესაძლოა დამზადება მთელი ამ მატყლისა საზ. „საქართველოს მატყლის“ საშვალებით.

მაშ რაშია საქმე? ჩვენთვის სავსებით გაუგებარია, თუ რა სურს ამხ. ერქომაიშვილს დაგვიმტკიცოს. იგი ამბობს, რომ „საქ. მატყლს“ არ შეუძლია მარტო დაამზადოს საჭირო რაოდენობა მატყლისა. ისევე გვეთანხმება ჩვენ იმაშიც, რომ საჭიროება მოითხოვს ამიერ კავკასიის ორგანოს, რომელსაც უნდა ჰქონდეს დიდი კაპიტალი მატყლის დასამზადებლად. და აი ამ.-კავკ. სახალხო ვაჭრობის ორგანო ჰქმნის სწორედ ამგვარ ორგანოს, სადაც შეუძლია შევიდეს ყველა ამ საქმით დაინტერესებულ ორგანიზაციას. მაშ რაშია საქმე? სადაა აქ დეზორგანიზაცია და პარალელიზმი? ვის ინტერესებს არ უწევს ანგარიშს ამიერ-კავკასიის სახალხო ვაჭრობის ორგანო? და ბოლოს და ბოლოს რას იცავს ამხ. ერქომაიშვილი? „საქართველოს მატყლის საზოგადოებას“? განა თვით ამხ. ერქომაიშვილმა არ უმღერა „საუკუნო ხსენება“ ამ ორგანიზაციას თავისივე გადაწყვეტილებით. და აი თვით ეს გადაწყვეტილება დაბეჭდილი „ზარია ვასტოკის“ სავაჭრო ქრონიკაში: „თანახმად მეცხვარეთა საზ. „მწყემსის“ შუამდგომლობისა ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში გადაწყვეტილი აქვს მიიღოს მონაწილეობა გაზაფხულის მატყლის დამზადებაში ნაღდი ფულით. ამავე დროს კომერციულ განყოფილებას დავალებული აქვს დიდი წინადადება მისცეს მთლიან რუსეთის მატყლის ამხანაგობას გაუნაღდოს ანგარიშები, წინააღმდეგ შემთხვევაში რწმუნებული სასურსათო კომისარიატისა დამზადებულ მატყლიდან მისცემს ამხანაგობას მხოლოდ მათგან მიღებულ თანხის რაოდენობის მიხედვით, დანარჩენი მატყლი იქნება გაყიდული თავისუფალ ბაზარზე“.

„საქ. მატყლი“ თქვენივე მსუბუქი ხელით გადაიცვალა. ახლა თქვენ ფიქრობთ დაიწყოთ ვაჭრობა მატყლით თავისუფალ ბაზარზედ განა საუკეთესო არ იქნებოდა შევკრეფილიყავით და შევდგომოდით მატყლის დიდ მნიშვნელოვანი საქმის დაწყებას? თქვენი ვრცელი წერილებით და ჩემი ძალდაუნებურათ გამოწვეული პასუხებით ჩვენ მატყლს ვერ დავამზადებთ. დადგა სეზონი გაზაფხულის მატყლის შეკრეფისა და საჭიროა დაჩქარება. სიტყვისა და ხმაურობის მაგიერ საჭიროა საქმე გაკეთდეს..

ნ. ამირაღლოვი.

ჯარში გაწვეული მიდის წითელ ყაზარმაში იმიტომ, რომ მისცეს საშუალება თავის ძმებს, მუშებს და გლეხებს იმუშაონ მშვიდობიანად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოელით მონობა.

მილიცია და სასამართლო

მშვიდობიან შინაურ აღმშენებლობაზე და მხარის ეკონომიურ აღორძინებაზე გადასვლისთანავე საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დაისვა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა სასამართლო და მილიციის ორგანოების გაჯანსაღების და გამაგრების შესახებ. ცხადია, რომ შინაურ აღმშენებლობის და ჩვენი მეურნეობის აღდგენისა და გამაგრების წარმატებით მიმდინარეობა საგრძნობათ დამოკიდებულია ამ ორი ორგანოს მდგომარეობაზე. რომლებიც მოწოდებული არიან ყოველდღიურათ ხელი შეუწყონ მთავრობას მის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების საქმეს.

როგორც მრავალჯერ აღვნიშნავს, იუსტიციის კომისარიატი უკვე შეუდგა სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის და მუშაობა ამ მიმართულებით საკმაო წარმატებით მიმდინარეობს, რაც შეეხება მილიციას, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთი რევოლუციის პირველი ოთხი წლის განმავლობაში ვერ აქცევდა მას საჭირო ყურადღებას სამოქალაქო ომის და ფრონტებზე გაცხარებული ბრძოლის დროს, როცა მხარის დაცვა გარეშე მოძალადეებისაგან და რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს შეადგენდა, ბუნებრივია, რომ რევოლუციის დაცვის ორგანოებს შორის მთავარი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა წითელ არმიას და საგანგებო კომისიას, მილიცია კი, რომელიც იმ დროს საკმაოთ ჩამოყალიბებული არ იყო, ზურგში დამხმარის როლს თამაშობდა. მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლის, ეკონომიური პოლიტიკის ხაზის შეცვლის და რევოლუციონური კანონიერების საფუძვლების ჩამოყალიბების შემდეგ, მილიციას, როგორც ადმინისტრატიული ზედამხედველობის ორგანოს და აგრეთვე პროლეტარულ სასამართლოს მეტი მნიშვნელობა ეძლევა და მათ წინაშე დგება დიდი ამოცანები.

მილიციის მთავარ ამოცანებს, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს ორგანოსას და მშრომელ მასებთან მტკიცე ურთიერთობის მქონესას, უნდა შეადგენდეს: მშრომელთა ფართე მასებში რევოლუციონური უფლება-წესრიგის საფუძვლების გავრცელება, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება, ბრძოლა პარაზიტულ და მავნე ელემენტებთან, ადმინისტრატიული ცხოვრების მოწესრიგება ქალაქსა და სოფელში რევოლუციონური კანონიერების საფუძველზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ჟამად, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა, რათა რევოლუციონური კანონიერება გატარდეს ცხოვრებაში და ის დაცულ იქნეს ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების და კერძო პირების მიერ.

ცხადია, რომ მილიციის შეგნებული დახმარების გარეშე პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა ვერ შესძლონ თავისი ფუნქციების შესრულება.

რამდენათაც ეს მართალია, იუსტიციის ორგანოებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან იმაში, რომ მილიცია იდგეს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, ხელი უნდა შეუწყოს მილიციის უბრალო მუშაკთა კულტურულ, პოლიტიკურ და საქმიან აღზრდას.

თუ სასამართლოებში პროლეტარული იდეოლოგიისათვის უცხო, მოხელეური ელემენტების ნაცვლათ მუშურ-გლეხური ელემენტის შეყვანამდი შეუძლებელი იყო ამ ორი ორგანოს იდეურათ და საქმიანობის ნიადაგზე დაახლოვებაზე ლაპარაკი, ახლა, როცა რესპუბლიკაში ჩვენ გვყავს 85 პროც. მოსამართლეთა, რომლებიც მუშებისა და გლეხების წრეს ეკუთვნიან, ეს დაახლოვება სასამართლოს მუშაკებისა მუშურ-გლეხურ მილიციასთან, რომლის კლასობრივი შემადგენლობა ისეთია, როგორიც სასამართლო ორგანოებისა, ხდება რეალური და იმავ დროს გადაუდები ამ ორგანოების წინაშე მდგომ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანების შეთვისება, ურთიერთისადმი ნდობა და საქმიანი თანამშრომლობა უნდა შეიქმნეს თავდები სასამართლოს და მილიციის წარმატებითი და გეგმაშეწონილი მუშაობის, ამ პირობების გარეშე სასამართლო ორგანოების განაჩენებს და დადგენილებებს ქაღალდის ნაგლეჯათ დარჩენის საფრთხე მოელის, პროკურატურის აპარატი ვერ გასცილდება კარგად დამუშავებულ გეგმებს კანონიერებისათვის თვალყურის დევნების შესახებ, მილიცია კი ვერ შეასრულებს ერთ-ერთ თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანას—რევოლუციონური კანონიერების ცხოვრებაში გატარებას და განმტკიცებას, რაც იარაღია პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცებისა სოციალიზმისაკენ გარდამავალ ხანაში სასამართლოს და პროკურატურის მუშაკებმა, რომლებიც თავისი პოლიტიკური განვითარებით მილიციის უბრალო მუშაკებზე მაღლა დგანან და თავის პრაქტიკულ მუშაობაში შეთვისებული აქვთ ჩვენი კანონმდებლობის ხასიათი და მიმართულება, თავს უნდა იდვან ინიციატივა ამ დაახლოვების საქმეში. სახალხო მოსამართლეებმა და პროკურორებმა პერიოდულათ უნდა შეჰკრიბონ მილიციის ადგილობრივი მუშაკები და გააცნონ მათ როგორც ჩვენი საბჭოთა, ადმინისტრატიული და სამეურნეო მშენებლობის საკითხები, ისე ჩვენი კოდექსები და სხვა კანონმდებლობა.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროთ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მილიცია ვერ იცნობს საკმაოთ გამოძიების წესებს. სასამართლოებში ზოგიერთი საქმეების გადადება აიხსნება სწორედ იმით, რომ სასამართლოში გამოგზავნილი გამოძიება დაუმთავრებელია, არ არის სრული და ხშირად კი გაუგებარიც არის. ამას გარდა, მილიციის მიერ სასამართლოს დადგენილებების და განკარგულებების არ შესრულება ხშირად საგრძნობათ უშლის ხელს მართლმსაჯულების შესრულებას და იწვევს ბიუროკრატიზმს ენერგიისა და საშუალებების არარაციონალურ ხარჯვას. მილიციისათვის ამაში ბრალის დადება უმართებულო იქნებოდა, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენ ვერ მივაქციეთ ყურადღება მილიციის აღზრდის საქმეს, ახლა კი ამ საქმისათვის ხელის მოკიდება აუცილებელია.

ეჭვს გარეშეა, რომ ცენტრი სათანადოთ დააფასებს მილიციის როლსა და მნიშვნელობას რესპუბლიკისათვის ამ ჟამად და გადადგამს კონკრეტიულ ნაბიჯებს მილიციის საჭირო სიმაღლეზე დასაყენებლად. პირველი და მთავარი ღონისძიება უნდა იყოს მილიციის მუშაკების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გაადიდებს მათ შრომის ნაყოფიერებას და მორალურათ გააჯანსაღებს მილიციას. მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობს მილიციის მუშაკების პოლიტიკურად და კულტურულად ამაღლებაში პოლიტიკური განათლების და პარტიული ორგანოების დახმარებით; მილიციის რიგების გაწმენდაში მერყევი, ბნელი ელემენტებისაგან, რომლებიც ხრწნიან დისციპლინას, და მილიციის ავტორიტეტის ამაღლებაში.

კერძოდ, უნდა აღინიშნოს მილიციის რეზერვის შექმნის მიზანშეწონილობა, რომლის დანიშნულება იქნება მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ სკოლებში მილიციონერების და მილიციის უფროს და უმცროს შემადგენლობის კადრების მომზადება.

ცენტრში მუშაობისაგან დამოუკიდებლათ მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებმა თავის მხრივ უნდა შეითვისონ მათ წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი ამოცანები და შეერთებული ძალებით მოსპონ ყველა ის დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან მათ მუშაობას და მით ხელი შეუწყონ სახელმწიფოში რევოლუციონური კანონ-წესრიგის დამყარებას და განმტკიცებას.

ი. ვარძიელი.

დეზერტირი მოღალატეა წითელი არმიის, ხოლო მეგობარი მემამულეების და კაპიტალისტების. წითელ არმიის თვითეული მებრძოლი ატარებს საპატიო სახელს ყველა მშრომელთა დამცველისას.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

ყრილობის გახსნის წინ

მოსკოვი. 17 აპრილი. დღეს გაიხსნება რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთორმეტე ყრილობა. დღის წესრიგში დგას კითხვები: ც. კ. პოლიტიკური ანგარიში (მომხსენებელი ზინოვიევი), ც. კ. საორგანიზაციო მოხსენება (სტალინი), მოხსენება მრეწველობაზე (ტროცკი), მოხსენება საგადასახადო პოლიტიკაზე (კამენევი, კალინინი, სოკოლნიკოვი) და სტალინის მოხსენება ნაციონალურ საკითხზე. ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში, ც. კ. პრეზიდიუმ ს წინადადებით, ყრილობის მუშაობის საორგანიზაციო მხარის მოწესრიგების და ინფორმაციისათვის უკეთესი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, დელეგატებმა თავისი წრიდან გამოყვეს წარმომადგენლები ამ საკითხების განსახილველად.

დელეგატთა თათბირი.

ამ წარმომადგენლებს ირჩევდნენ სათანადო გუბერნიების და საოლქო გაერთიანებათა დელეგატების გაერთიანებულ სხდომებზე. გუშინ გაიმართა ივანოვო-ვოზნესენსკის, ბრიანსკის, ვლადიმირსკის, ტულის, ტვერის, კოსტრომის, კალუგის, რიაზანის, იაროსლავის და ვიტების გუბერნიების დელეგატთა თათბირი.

მოსკოვის პრესა ყრილობის შესახებ.

მოსკოვი. 17 აპრილი. 17 აპრილს მოსკოვის გაზეთების მოწინავე წერილები ეხებოდენ პარტიულ ყრილობის გახსნას.

„პრავდას“ აზრი.

გაზ. „პრავდა“ სწერს: „მტრების ბოროტი წინასწარმეტყველებანი არ გამართლდენ, რუსეთის კომუნისტური პარტია არა თუ დარჩა თავის სახელოვან პოსტზე არამედ დაიპყრო წელს ახალი პოზიციები. პარტია დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე. სრულიად არ უნდა იცნობდე ჩვენ ქვეყანას, რომ ვერ დაინახო, რომ საბჭოთა რუსეთი თან და თან მრთელდება და მეურნეობაც აღორძინებას იწყებს. ჩვენ ვიმყოფებით სიძნელეთა გადალახვის გზაზე. მუშათა კლასი ჩვენთანაა. გლეხობა მხარს უჭერს მუშათა კლასს, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია. პოლიტიკურ პარტიულ ჯგუფებისაგან, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდენ ხსენებაც აღარ დარჩა. მშვენიერი ახალგაზრდა თაობა ჩვენთან არის. ჩვენ დავამარცხეთ უამრავი მტრები. ჩვენ დავამარცხებთ ყველას, ვინც გზაზე გადაგვეღობება.

ჩვენი ილიჩი.

ყრილობას ვერ დაესწრება ჩვენი ბელადი და საყვარელი მასწავლებელი, ჩვენი მეგობარი—ამხ. ლენინი. მისი ჯანმრთელობა ნებას არ აძლევს მას იმუშაოს. მთელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან—იტალიის ფაშისტურ ციხეებიდან, ოსმალეთიდან, ინდოეთიდან მოდის მისალმებანი ვლადიმერ ილიჩის სახელზე, გამომრთელების სურვილით დიდ ჩქარა დაუბრუნდეს საქმეს საერთაშორისო პროლეტარიატის საუკეთესო წინამძღოლი. ილიჩის წერილებში, რომელიც უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა, ამხ. ლენინის ხაზი ნათლად არის გარკვეული. სწორედ ამ გზით წავა პარტიის 12-ე ყრილობა.

ყრილობის ამოცანები.

მოსკოვი. 17 აპრილი. ამხ. სტეკლოვი გაზ. „იზვესტიაში“ სწერს: „რუსეთის კომუნისტურ პარტიის დღეს გახსნილ ყრილობის ამოცანები განისაზღვრება მსოფლიო კომუნიზმის ისტორიულ ამოცანებით, რუსეთის პროლეტარიატის საერთო ამოცანებით და კერძოთ, პროლეტარული ხელისუფლების ამოცანებით.

მთავარი ამოცანა.

სტეკლოვი იკითხება, როგორია მთავარი ამოცანა, რომელიც ამჟამად პარტიის წინაშეა დასმული და უპასუხებს: მსოფლიოში ერთად ერთ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება, პროლეტარიატის, რომელიც იძულებულია განვითარდეს კაპიტალისტების გარშემორტყმის პირობებში. ამ მიზნის მიღწევა იწვევს პროლეტარიატის შეთანხმებას გლეხებთან და ქალაქსა და სოფელს შორის იმ კავშირის განმტკიცებას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი რევოლუციის წარმატებას.

გრძელვადიანი მოგზაურობისაკენ.

ასახელებს რა პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის სხვა და სხვა ამოცანებს, სტეკლოვი ამბობს: „ყველა გზებს მიჰყავთ რომისაკენ“.—პროლეტარიატის დიქტატურისაკენ სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ გამარჯვების მაქსიმალური შანსებით. ჩვენი პარტიის მთელი წარსული გამოცდილება ნებას გვაძლევს ჩვენ მტკიცე იმედი ვიქონიოთ, რომ იგი დღესაც შესძლებს იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც დასვა ისტორიამ მის წინაშე, რამდენადაც ძნელი და რთული არ უნდა იყოს ეს ამოცანები.

ილიჩი ხელმძღვანელია ყრილობის.

მოსკოვი. 17 აპრილი. გაზ. „რაბოჩაია მოსკვა“ მოწინავე წერილში სწერს: „მიუხედავათ იმისა, რომ ლოგინად ჩავარდნილი ვლადიმერ ილიჩი არ დაესწრება ყრილობას, მთელი მზადება ყრილობისათვის, და ყრილობის წინ გამართული დისკუსიები ჩატარდა იმ აზრების ზეგავლენით რომელიც გამოსთქვა ამხ. ლენინმა მის ორ უკანასკნელ მნიშვნელოვან წერილში.

რაზე სწერდა ილიჩი.

ამ წერილებში განზრახულია მრავალ საკითხების გადაწყვეტა: საკითხები საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის, პარტიის ცენტრ. კომიტეტის საგარეო და შინაურ პოლიტიკის შესახებ, საკითხები მრეწველობის და სოფლად საგადასახადო პოლიტიკის შესახებ და საორგანიზაციო პარტიის შინაური საკითხები.

მუშებისა და გლეხების კავშირი.

ორ რევოლუციონურ კლასს—პროლეტარიატის და გლეხობის შორის ორივეგულ კავშირის განმტკიცება, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაიაფება და გამარტივება, გასაგები და მისაღები საგადასახადო პოლიტიკა სოფლად, მჭიდრო კავშირი პარტიასა და ადგილობრივ დაწესებულებათა შორის, რევოლუციონურ—ნაციონალურ პოლიტიკის განგრძობა—აი ის ამოცანები, რომელიც ყრილობის წინაშეა დასმული, ამოცანები, რომელსაც ის მიაქცევს მთელ თავის ყურადღებას.

ყრილობის გახსნა

ამხ. კამენევი ხსნის ყრილობას.

მოსკოვი. 17 აპრილი. რ. კ. პ. მე-12 ყრილობა გახსნა ამხ. კამენევმა, რომელმაც სთქვა: „როდესაც ჩვენ ვიწყებთ საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტურ ძალების ყოველწლიურ დათვალიერებას, ჩვენ უფლება გვაქვს ვიკითხოთ—რა არის გაკეთებული ვლადიმერ ილიჩის სნეულების შესამსუბუქებლათ? ამ კითხვაზე ჩვენ შემდეგ პასუხს ვიძლევით: ჩვენ მოვიწვიეთ ყველა ძალები, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ილიჩს.

ილიჩი მორჩება.

შეკრებილია მედიცინის ყველა ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც გვეუბნებიან: „ილიჩის სნეულება რთულია, მაგრამ მისი მდგომარეობა სრულიადაც არ არის უნუგეშო. ავადმყოფობის ფესვები იმალება, საშინელ დაღლილობაში და იმ ნერვიულ ენერგიის ხარჯვაში, რომელიც ილიჩმა ათეულ წლების განმავლობაში მუშათა კლასის სამსახურში დალია. ამ ჟამათ საშიშროება მას ასცილდა. ექიმები აღნიშნავენ ილიჩის ორგანიზმის თან და თანობითი გაუმჯობესებას. ჩვენი იმედები ემყარება იმას, რომ ილიჩი მალე მორჩება და ისევ დაატრიალებს მსოფლიო რევოლუციის საქმეს“. ილიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა მხურვალე აპლოდისმენტებს იწვევს.

ილიჩი ჩვენთან არის.

ამხ. კამენევი გადადის ილიჩის მუშაობის დახასიათებაზე და აღნიშნავს იმ ამოცანებს, რომლებიც ილიჩის მიზნების თანახმათ, გადაწყვეტილი უნდა იქნეს პარტიის ამ ყრილობაზე. „ილიჩი ფაქტიურათ არ არის აქ, ამბობს კამენევი, მაგრამ ის იდეურათ ხელმძღვანელობს ამ ყრილობას“.

პრეზიდიუმის არჩევა.

შემდეგ ყრილობა გადადის პრეზიდიუმის არჩევნებზე. პრეზიდიუმში შედიან: ამხ. ამხ. არისტოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ზალუცკი, ზინოვიევი, კალინინი, კამენევი, კოსიორი, კოროტკოვი, ლაშევიჩი, ლენინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, რაკოვსკი, რუძუტაკი, რიკოვი, სტალინი, სულტან გალიევი; ტომსკი, ტროცკი, უგლანოვი, ფრუნზე და ხარიტონოვი.

სეკრეტარიატში არჩეული არიან კუბიშევი, ენუქიძე, კოროსტილევი, გოლოშჩეკინი და ბუბნოვი.

გაზეთებში გამოქვეყნებული დღის წესრიგი და რეგლამენტი ერთხმად არის მიღებული.

ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიში

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ც. კ—ს პოლიტიკური ანგარიშისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ზინოვიევს.

წელს ჩვენ მოკლებული ვართ საშვალებას მოვისმინოთ ვლადიმერ ილიჩის სიტყვა, რომელიც გაგვირკვევდა ჭეშმარიტ გზას და ამიტომ ამ ჟამათ ჩვენ მოგვიხდება უფრო ფრთხილათ ვეძიოთ ნამდვილი გზა, ვიდრე ეს წინეთ გვჭირდებოდა. ჩვენ უნდა ავანაზღაუროთ ის, რასაც წინეთ ამხ. ლენინი ჩვენ მზათ გვაძლევდა.

წარსულ ყრილობაზე ილიჩმა განაცხადა, რომ ჩვენი უკან დახევა დასრულებულია. აასრულა თუ არა პარტიამ და ც. კ—მა ის რაც დაგვპირდა. ჩვენ შეგვიძლია ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გავსცეთ.

უკან დახევიდან შეტევაზე.

უკან დახევა შეჩერებული იყო და ჩვენ ზოგიერთ დარგებში დაუყოვნებლივ გადავედით შეტევის მომზადებაზე. წარსულმა წელმა იმ ზომამდე განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება, რომ მისი უბოროტესი მტრებიც უკუ აგდებენ მისი განადგურების იმედებს. ამხ. ზინოვიევი კითხულობს ადგილებს მენშევიკ ივანოვიჩის წერილებიდან, რომლებიც ადასტურებენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ფაქტს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, ამბობს ამხ. ზინოვიევი, იმას, რომ ჩვენ პარტიულ—საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი საშიშროება ასცილდა.

შინაური და გარეშე საშიშროებანი

თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გარეშე საშიშროება აგვცდა, მაგრამ დაგვრჩა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული შინაური საშიშროება. ბურჟუაზიის ყოველგვარ ცდას გენუაში და ჰააგაში მიმართულს ჩვენს მიერ რაიმე დათმობაზე, რომელიც სავსებით ან ნაწილობრივ დაგვამცირებდა, წინ ეღობებოდა ჩვენი მოკლე და რკინის: არა.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა განისაზღვრება მსოფლიო კაპიტალისტურ ომის შედეგებით და მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციით, რომელიც იწყებს განვითარებას ჩვენი თვალის წინ.

ორი ძალა.

იმპერიალისტურმა ომმა კაპიტალი ორ მტრულ ჯგუფად გაჰყო: პირველია გამარჯვებული რეაქციონური იმპერიალიზმი და მეორე—დამარცხებული ბურჟუაზიული ქვეყნები. მაგრამ უკანასკნელები იძულებული არიან ეძიონ ერთგვარი დაახლოვება პირველ ძლევა-მოსილ პროლეტარულ რესპუბლიკასთან. გერმანიის ბურჟუაზიას არ ძალუძს იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება და იძულებულია დაუახლოვდეს საბჭოთა რუსეთს, რომლის მხრივ მას შეუძლია შეხვდეს სამართლიან მოპყრობას თავის ნაციონალურ ინტერესებისადმი. მცირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშვნელოვანი ფაქტორი არის აღმოსავლეთის საკითხი.

აღმოსავლეთის კარი.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის დედაბოძს შეადგენს მოქმედების კოორდინაცია პირველ ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციასა და გამოღვიძებულ აღმოსავლეთს შორის.

ჩვენ ხშირათ გვეკითხებიან იქნება თუ არა ომი, როგორი იქნება ის და როგორი იქნება რუსეთის როლი ამ შემთხვევაში.

ომი არის.

ამხანაგებო, ომი არის. ის რაც ხდება რურის ოლქში ეს არის ომის გაგრძელება, მხოლოდ სხვა საშუალებებით. მაგრამ ლაპარაკია იმაზე იქნება თუ არა ომს იმ ფორმებში, როგორიც მხედველობაში აქვთ იმათ, ვინც კითხულობს. ამხ. ლენინმა ჯერ კიდევ პარტიის მერვე ყრილობაზე სთქვა: თავდება ომის პირველი პერიოდი და რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყება მეორე

ომი იქნება.

იმის თქმა სისწორით რამდენი წლის შემდეგ იქნება ომი შეუძლებელია, მაგრამ რომ ომი იქნება ეს ნათელია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფერისათვის და ამასთანავე ყოველმხრივ ვეცადოთ გადავდოთ ის მომენტი, როცა ჩვენ გვაიძულებენ ჩავერიოთ ევროპის ახალ ომში. ჩვენ უსათუოდ გვჭირია ზავი სამეურნეო აღდგენისათვის. დეე იხუხონ მათ რამდენიც სურთ, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია ამით არაფერს წააგებს. ჩვენი პოლიტიკის ძირითადი საფუძველი მდგომარეობს აღმოსავლეთის ერებთან დაახლოვებაში. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვსურს სხვა ქვეყნებთან დაახლოება.

კავშირისათვის.

ამის შემდეგ ამხ. ზინოვიევი ლაპარაკობს დასავლეთის სამრეწველო ქვეყნებთან და ჩინეთ-იაპონია-ამერიკასთან კავშირის გასაბმელათ გადადგმულ ნაბიჯებზე.

დრო უნდა მოვიგოთ.

საერთაშორისო მასშტაბით ხდება ორი ძალის-ბურჟუაზიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის შეჯიბრება. ჩვენ, ლაპარაკობს ამხ. ზინოვიევი გვესაჭიროება ნახევარათ წონასწორობა—ერთგვარი სავაჭრო ურთიერთობა. თუ საქმე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ხელშეკრულობები დავდოთ ბურჟუაზიასთან სანამ ჯერ კიდევ ბატონობს ის და ერთგვარ დათმობებზე მოდის, ჩვენ ამაზე თანახმა ვართ. თქვენ გახსოვთ ამხ ლიტვინოვის განცხადება ჰააგაში, რომ რამდენათაც მეტს ქინიანობას გამოიჩენს ბურჟუაზია, იმდენათ ნაკლებ დათმობაზე წავალთ ჩვენ, რადგან ამ დათმობაზე მივდივართ დროს მოგების მიზნით.

საგარეო ვაჭრობა.

ამის შემდეგ ამხ. ზინოვიევი გადადის საგარეო ვაჭრობაზე. ჩვენმა ყრილობამ, ამბობს ის, უნდა დაამოწმოს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობა და დასთანხმდეს მხოლოდ იმ აზრზე, რომელიც გამოსთქვა ილიჩმა და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთჯერ და საბოლოოთ მოელოს ბოლო დისკუსიებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გარშემო. რომ კაპიტალისტები ამ ფრონტის გარღვევის საშვლებით შესძლებდენ ზურგიდან მოვლას, ისინი ჩვენს ქვეყანას კოლონიათ ან ნახევრათ კოლონიათ გადააქცევდენ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში ჩვენ უფრო ერთსულოვანი უნდა ვიყოთ, ვიდრე რომელიმე სხვა საკითხში.

პურის ექსპორტი.

დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობასთან, შეადგენს ჩვენი პურის ექსპორტის საკითხი. როცა ჩვენ არ გვქონდა პური, არ იყო სიძნელე პურის ფასებში. ახლა, მოსავლის შემდეგ სავსებით გამოირკვა პურის ფასების შეუსაბამობა საქონლის ფასებთან. ასეთი მდგომარეობა საშუალებას ართმევს გლეხს გააკეთოს საჭირო მარაგი, რაც ხელს უშლის ჩვენი მრეწველობის მიმდინარეობას. ამიტომ ჩვენს წინაშე დღის წესრიგში დაისვა პურის ექსპორტის საკითხი. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია პირველათ ჩვენი პურის წინაალმდეგ გაფთრებულ კამპანიას ეწეოდენ მენშევიკები, რომლებიც ცდილობდენ ხელის შეშლას მისი რეალიზაციისათვის. მაგრამ დასავლეთის კაპიტალისტები პრაქტიკული ხალხია, მათთვის საკითხი გადასწყვიტა ჩვენი პურის ფასმა და მისმა ღირსებამ.

და ამ ჟამად ჩვენი პურის ექსპორტის საკითხი უკვე მოგვარებულია.

შინაური პოლიტიკა.

შეეხო რა შემდეგ შინაურ პოლიტიკას ამხ. ზინოვიევმა სთქვა: „ჩვენ უკვე გავიარეთ ერთი წელიწადი, როდესაც ჩვენ, მართლადაც, ვატარებდით ცხოვრებაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო და არის სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის სისტემა, რომელიც ტარდება იმისათვის, რათა ნამდვილი კავშირი დამყარდეს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველმა წელიწადმა დაგვანახვა, რომ იგი არის მუშათა ექსპლოატაციის ახალი ფორმა, მაგრამ, რომ იგი არის სამეურნეო აღმშენებლობის ნამდვილი ფორმა, ეს დამტკიცებულია იმით, რომ ჩვენ დავიძარით ადგილიდან. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში ყველაფერი კარგადაა. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ჩვენ ძველებურად განვაგრძოთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ისე სისწორით ცქერა, რომ ნათლად ვალეიაროთ, რომ აქ საქმე ეხება გლეხობასთან კავშირის დაჭერას და რომ ჩვენთვის საჭიროა სათანადო პასუხი გავსცეთ ყველა იმათ, ვინც ამაში გლეხობისაკენ გადახრას ხედავს.

პარტიის და მუშათა მასების დამოკიდებულება.

გადადის რა მუშათა მასების პარტიისადმი დამოკიდებულების საკითხზე, ამხ. ზინოვიევი ამბობს: არასოდეს ჯერ ჩვენი პარტია არ სარგებლობდა მუშათა კლასის ისეთი უსაზღვრო ყურადღებით და მხარის დაჭერით, როგორც დღეს ჩვენ შევხვდით. ახალი ძალები სკეპტიკურად განწყობილ და მატერიალურად შევიწროებულ. მუშების რიგებიდან, რომელნიც დარწმუნდენ, ჩვენ სიმართლეში. ჩვენში მოხდა თითქოს პროლეტარიატის მეორეჯერ დაპყრობა. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორისა, ჩვენი ახალ ეკონომიური პოლიტიკის სისწორის და ეს პოლიტიკა ჩვენ უნდა გავატაროთ და განვავითაროთ.

დამოკიდებულება გლეხობასთან.

გლეხობა და მისი მდგომარეობა არის ჩვენი ყრილობის ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი. ჩვენ ზოგ რამეს უკვე მივაღწიეთ გლეხის მეურნეობის აღდგენის დარგში. შემოდგომის ნათესის არე ფართოვდება, საგაზაფხულო ნათესიც აგრეთვე. ჩვენ შეგვიძლია მოველოდეთ, რომ წელს მოსავალი არ იქნება იმაზე უარესი, რაც იყო შარშან, ყოველ შემთხვევაში ეს მოსავალი მოგვცემს 3 ნახევ. მილიარდ ფუთ პურს.

მე ვფიქრობ, განაგრძობს ზინოვიევი, რომ ზოგიერთები შეეცდებიან ხაზი გაუსვან ჩვენ „აშკარა გადახრას" გლეხობისაკენ ვინც ჩვენ ამაში ბრალს დაგვდებს, ის მართლაც იზიარებს გლეხობის ხელმძღვანელობის უარყოფის, პროლეტარიატის გეგემონიის უარყოფის იდეას.

მიაქციეთ ყურადღება, რა კამპანიას აწყობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი ამ საკითხის გარშემო. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მშვენივრად იციან, რომ ეს არის ერთად-ერთი ჩვენი სუსტი მხარე, და რომ დანარჩენ შემთხვევაში ძალიან კარგად მიდის საქმე. მილიუკოვი გვაბრალებს ჩვენ ოპორტუნიზმს გლეხთა საკითხში. მილიუკოვი მხოლოდ იმას მოელის, რომ ამ „გადახრის" ხარჯზე ჩვენ მოგვივიდეს შეცდომები. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ასეთ შეცდომებს არ ჩავიდენთ. პირველი საკითხია—გადასახადები, მეორე—პურის ფასები და მესამე—ეროვნული საკითხი, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული გლეხთა საკითხთან. პოლიტიკა, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ ლენინისაგან, გლეხთა საკითხში შეურყეველია, იმიტომ რომ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი რევოლიუციის ბედი. ზინოვიევს სიტყვას აწყვეტინებენ ტაშით.

პარტიის მდგომარეობა.

გადადის რა პარტიის შინაურ აღმშენებლობაზე, ამხ ზინოვიევი ამბობს:

„პარტია უფრო გაჯანსაღდა, ვიდრე ერთი წლის წინად, და ჩვენ ვგრძნობთ მის რკინის ნებისყოფას და მთლიანობას".

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

თათბირი დამთავრდა

ბერლინი. 16 აპრ. პარიზში დამთავრდა საფრანგეთის და ბელგიის პრემიერების თათბირი, რომელიც განახლდება აპრილის დასასრულს ბრიუსელში.

ტეონისის სიტყვა

პარიზი. 16 აპრ. ბელგიის პრემიერმა ტეონისმა ბრიუსელში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეეხებოდა პარიზში გამართულ საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკებას. რურის ოკუპაცია, განაცხადა ტეონისმა, ჩვენთვის არის საშუალება და არა მიზანი. ჩვენ გვინდა, რომ გერმანიამ, დასასრულ, აღიაროს თავისი დამარცხება და თავისი ფინანსიური კრახი. ეს აიძულებს მას მიიღოს გადაწყვეტილება თავისი სარეპარაციო ვალდებულებების გადახდისათვის და მოგვცეს ჩვენ სათანადო წინადადება. ასეთების მიღებაზე, ჩვენ ვერ ვიტყვით უარს ჩვენს მიერ დაკავებულ პოზიციაზე.

ახალი მტაცებლობა

ბერლინი 16 აპრ. გელზენკირხენიდან მიღებული ცნობებით, ფრანგებმა კვლავ დაიკავეს გერმანიის 4 მაღარო და რკინის გზის ქსელის ახალი ადგილები.

ოკუპაციის გარშემო

ამნგრევენ რკინის გზებს.

ბერლინი. 18 აპრ. რურის ოლქის რკინის გზის სადგურების საერთო რიცხვიდან, რომელიც 230 უდრის, ოკუპანტებს უჭირავთ 170. ამათგან 66 სადგურში განაგრძობს მუშაობას გერმანული პირადი შემადგენლობა, 44 მათგანზე მიმოსვლა საშუალოა, 10 თითქმის შეწყვეტილია, დანარჩენ 12-ზე კი, ახლობელ რკინის გზის ხაზების დაკავების გამო, მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილია.

რკინის გზელებს ისევ აძევებენ.

ბერლინი, 18 აპრ. გერმანელ რკინის გზელების გაძევება რურის ოლქიდან რეგულიარულად გრძელდება. კვირას გაძევეს 700 კაცი, ორშაბათს—1236 კაცი, სამშაბათს კი—664. ოკუპაციის პერიოდში გადასახლებულთა საერთო რიცხვი 20 000 კაცს აღემატება.

უმუშევართა ფონდის წაღება.

ბერლინი. 18 აპრ. დიუსელდორფში ფრანგებმა ისევ გაიტაცეს უმუშევართა ფონდი, რომელიც 20 ნახ. მილიონ მარკას უდრიდა.

კრუპის დატუსაღება.

ბერლინი. 18 აპრ. ესენში კრუპის ქარხნების დირექტორების წინააღმდეგ დაწყებულ პროცესის გამო საოკუპაციო ჯარების მესამოცდა ჩვიდმეტე დივიზიის სამხედრო გამომძიებელმა დაატუსაღა ჩვენების ჩამოსართმევად თვით კრუპი და მისი ორი დირექტორ ფონ ბოლენი და გალბაკი.

შედეგებს ჩქარა დაინახავენ.

ბერლინი. 18 აპრილი პარიზიდან მიღებული ცნობით საზოგადოებრივი მუშაობის მინისტრი ლე ტროკე და ფინანსთა მინისტრი ლასტერი რურში ჩავიდენ მათ შეხვედებათ სტრასბურგიდან ჩამოსული განთავისუფლებულ ოლქების მინისტრი რეიბელი. მოელიან აგრეთვე სამხედრო მინისტრის მაჟინოს ჩამოსვლას. იუწყებიან, რომ ფრანგ მინისტრების ამ „გასეირნებაში" რურის ოლქში მონაწილეობას მიიღებს მარშალი პეტენიც. ამის შესახებ გაზეთი „ენტრანსიჟანი" სწერს, რომ ამ მგზავრობის შედეგებს ჩქარა დაინახავს მთელი გერმანიის ხალხიო".

პირველ ყოვლისა საკუთარი ინტერესები.

ბერლინი. 18 აპრილი. გაზ. „პტი-პარიზიენის" ცნობით ბელგიის და საფრანგეთის მინისტრების თათბირმა პარიზში დაამტკიცა, რომ საფრანგეთი შემდეგშიც დაიცავს 1921 წლის 15 მაისს ლონდონში მიღებულ საკონტრიბუციო გეგმას, გარდა ამისა საფრანგეთ ბელგიის მომავალი მოლაპარაკების დროს საფრანგეთი მოითხოვს პირველ რიგში საფრანგეთ-ბელგიის და მეორე რიგში კი დანარჩენ მოკავშირეების დაკმაყოფილებას.

ახლო აღმოსავლეთი

ინგლისელების მხეცობა სულეიმანიაში

ანგორა. 17 აპრილი. ოპერატიული ცნობა აღნიშნავს ინგლისელების მხეცობას სულეიმანიაში 36 აეროპლანიდან უშენდენ ყუმბარებს და ანადგურებდენ მცხოვრებთ და საქონელს, დარჩენილები სრულიად გაიფანტნენ.

„ენი გიუნი" სულეიმანიაში მომხდარ ამბების შესახებ

ანგორა. 17 აპრ. „ენი გიუნი" მოწინავე წერილში სულეიმანიის ამბების შესახებ სწერს: „ინგლისი ყოველთვის მიმართავდა ძალადობის პოლიტიკას. სულეიმანიის ამბები ხდება ლოზანის კონფერენციის გახსნის დროს. ვგზავნით რა დელეგაციას, ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ დაუშვათ უდანაშაულოთა სისხლის ღვრა. ინგლისელების სურვილია დაგვაყენოს ჩვენ ფაქტის წინაშე, იმედოვნებენ რა რომ ჩვენ გართული ვართ შინაური საქმეებით, მაგრამ ჩვენ არ დავივიწყებთ მოსულს, ჩვენი ჯარი იარაღის ქვეშაა. სულეიმანიის ამბები უფრო აღაგზნებს ჩვენს ხალხს და მტკიცედ შეაკავშირებს მას თავის დელეგაციის ზურგის გასამაგრებლად. კონსტანტინოპოლი აგრეთვე ინგლისის საოკუპაციო ხიშტების ქვეშაა. ჩვენს მერყეობას საზღვარი უნდა დაედოს და მუდამ გვახსოვდეს, რომ ინგლისის ფლოტი დაბანაკებულია ჩანაკთან, ბერძნები კი მზათ არიან მარიცის მახლობლათ.

პირველი ჯგუფის გამარჯვება

რომი. 18 აპრ. კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ჯერ ოპოზიციას არ წამოუყენებია არც ერთი კანდიდატი. წამოყენებული კანდიდატები ჯერ მხოლოდ პირველი ჯგუფიდანაა. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ქემალ-ფაშას.

ახალი წევრები კომისართა საბჭოში

ანგორა. 17 აპრ. ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობამ აირჩია საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილეთ რაუფ-ბეი, ჯანმრთელობის კომისრის მოადგილეთ—ტოფიკ რუშტი, რელიგიის კომისრათ—პირველი ჯგუფის წევრი ქიაზიმი.

პიროვნების ხელშეუხლებლობის კანონის განსაზღვრა

ანგორა. 17 აპრ. დამატებითი პუნქტის მიღების შემდეგ იმ კანონისადმი, რომელიც სამშობლოს მოღალატეთ აღიარებს ყველა იმ პირთ, რომელიც მოქმედებენ 1 ნოემბრის აქტის წინააღმდეგ საქმით, სიტყვით ან წერილობით. მიღებულია აგრეთვე იუსტიციის კომისრის განმარტება, რომელიც შეეხება პიროვნების ხელშეუხლებლობის კანონის განსაზღვრას.

ინგლისიც ზრუნავს

პარიზი. 18 აპრ. ჩესტერის კონცესიის გამო ინგლისმა გადადგა ისეთივე ნაბიჯები, როგორიც პუანკარემ დაავალა საფრანგეთის წარმომადგენელს ვაშინგტონში.

საბაჟო გადასახადების გადიდება

პარიზი. 18 აპრ. ანგორის მთავრობამ გადასწყვიტა გაადიდოს ოცი პროც საბაჟო გადასახადი ისეთ საქონელზე, რომელიც შემოდის ოსმალეთში და ოსმალეთიდან უცხოეთში გაზიდვისას მოკლებულია ურთიერთობის უფლებებს გადასახადებისაგან.

ოსმალეთი ზავისაკენ მიისწრაფის

ლონდონი. 14 აპრ. „დეილი მეილი"-ს წარმომადგენელთან საუბარში ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოსმალეთი ზავისაკენ მიისწრაფვის და, თუ მოკავშირეები გამსჭვალული არიან ასეთივე სურვილებით, შესაძლებელია ახალ კონფერენციაზე მიღწეულ იქნეს დამაკმაყოფილებელი შედეგები.

ფაშიზმის დაშლა

ვატიკანის ზრუნვა.

ბერლინი კათოლიკურ სახალხო პარტიის წევრთა—მინისტრების კაბინეტიდან გამოსვლის გამო ვატიკანი ცდილობს თავის თავზე აიღოს შუამდგომლობა ამ საკითხში, რათა შეაერთოს კათოლიკურ სახალხო პარტიის მემარჯვენე ელემენტი კათოლიკურ ნაციონალურ კავშირს, რომელიც უნდა შესდგეს, როგორც ხიდი იტალიის მთავრობისა და ვატიკანის შორის.

თავის თავს ინუგეშებენ.

რომი- ეხება რა კათოლიკურ სახალხო პარტიის პოზიციას, გაზ. „პოპოლე დ'იტალია" წერს, რომ მიუხედავათ ამ პარტიის უნდობლობისა, ფაშიზმი ჯერ კიდევ ძლიერია. რასაც ამტკიცებს ეხლახან მომხდარი მილანში, ბოლონიასა და სხვა ქალაქებში მანიფესტაციები, გაზეთის აზრით ფაშისტებს ყოველთვის შეუძლიათ მორიგება კათოლიკურ სახალხო პარტიის იმ ნაწილებთან, რომელსაც სათავეში უდგას სტურცო, მაგრამ ფაშიზმს არაფერი საერთო არ აქვს „სოციალ დემოკრატ ულ ყადრის" კათოლიკურ სახალხო პარტიასთან.

მუსოლინი მუშაობს.

რომი. გუშინ საღამოს შესდგა ფაშისტურ პოლიტიკურ კომისრების საგანგებო კრება შექმნილ შინაურ მდგომარეობისა და სხვა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხის გასარჩევად, კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში, კრების თავმჯდომარის მუსოლინის მიერ წამოყენებულში ნათქვამია, რომ ყველა პოლიტიკური კომისრები დაუყონებლივ მიემგზავრებიან იტალიის სხვა და სხვა რაიონებში კათოლიკურ სახალხო პარტიის ტურინში შემდგარ კონგრესის შემდეგ დაწყებულ მოძრაობის „გამოსაძებლათ".

კომპარტიაში.

რომი 18 არილი. რადგანაც იტალიის კომპარტია იძულებულია იარსებოს არალეგალური სახით, პარტიის აღმასკომმა დაადგინა დაარსოს ცენტრალური ბიურო, რომლის მიზანი იქნება კავშირის გაბმა პარტიის წევრთა და ცენტრ. კომიტეტის შორის.

ფაშისტების რეჟიმის ქვეშ.

რომი. 16 აპრილი, სოციალ დემოკრატების და კომუნისტურ პარტიის შეერთების მომხრენი გამოშვებულ მოწოდების შესახებ აცხადებენ, რომ ფაშისტების მკაცრი რეჟიმის გამო ეხლანდელი მომენტი საშიშარია სოციალისტურ კონგრესის მოწვევისათვის.

ევროპის ციხეებში

მოსკოვი. 18 აპრილი. რევოლიუციონერების დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების მეთორმეტე პარტიული ყრილობის დელეგატებთან საუბრის დროს ამხ ბუდდიხმა აღნიშნა, რომ ევროპის ბურჟუაზიულ ციხეებში ამჟამად დამწყვდეულია 150.000 რევოლიუციონერი. მხოლოდ უნგრეთის ციხეებში ადმირალ ხორტის გამომწყვდეული ყავს 70 000 რევოლიუციონერი. ბუდდიხი მოუწოდებს ფართედ მოაწყოს დატყვევებულთა დახმარების საქმე.

კომუნისტები მოითხოვენ მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნას.

ვენა. 14 აპრილი. ბულგარეთის საკანონმდებლო კრების გაშვებამ ახალი საარჩევნო კანონის შემდეგ გამოიწვია რეაქციონური ბლოკის წინააღმდეგობა, განხეთქილება აგრარულ პარტიაში და სამი მინისტრის გადადგომა. ბოლგარეთის კომუნისტური პარტია მომავალ არჩევნებზე თავის პროგრამაში მოითხოვს მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნას, მოუწოდებს გლეხობას დადგეს კომპარტიის დროშის ქვეშ და შექმნას მუშურ-გლეხური ბლოკი. თითქმის ყველა კომუნისტი აგიტატორები და უპარტიო გლეხები, რომლებიც მხარს უჭერდენ მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნას, დატუსაღებული არიან.

ახალი ლოზანა

ინგლისის წარმომადგენლები.

ლონდონი. 16 აპრ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის მაკ-ნეილის განცხადების თანახმად მოლაპარაკება ოსმალებთან ლოზანაში განახლდება 22 ან 23 აპრილს. ინგლისის წარმომადგენლათ იქნება ინგლისის უმაღლესი კომისარი სტამბოლში რეინბოლდი.

ჩესტერი ლოზანაში მიემგზავრება.

ბერლინი. 16 აპრ. „დეილი ნიუზის" ცნობით ადმირალი ჩესტერი მიემგზავრება ლოზანაში ოსმალეთში თავისი კონცესიების პროექტის დასაცავად.

ჩინეთის დელეგაცია რუსეთში.

ბერლინი 18 აპრილი. ლონდონიდან მოსულ ცნობებით, პეკინიდან მიემგზავრება ჩიტაში და მოსკოვში ჩინეთის პარლამენტის წევრების დელეგაცია.

საფრანგეთი და ბელგია

საფრანგეთ-ბელგიის კონფერენცია.

მოსკოვი. 18 აპრილი. ფრანგული გაზეთი „მატენი" იუწყება, რომ საფრანგეთის და ბელგიის კონფერენციაზე გაირჩევა საფრანგეთის გეგმა რეპარაციის შესახებ, რომლის თანახმად გერმანიამ უნდა გადაიხადოს 26 მილიარდი მარკა ოქროთი 10 წლის განმავლობაში. ამასთან რეინის ოლქის და რურის ოკუპაცია შეწყდება იმ პირობით, თუ საფრანგეთი უზრუნველ ყოფილი იქნება ტერიტორიალური თავდასხმისაგან. გაზეთი „პტი-პარიზენი" ფიქრობს, რომ საფრანგეთსა და ბელგიის შორის მიღწეული იქნება სრული შეთანხმება, მაგრამ ეჭვობს იმაში, რომ მოკავშირეთა მოლაპარაკება დაიწყება ახლო მომავალში.

კომუნისტების პროცესი.

კოვნო. 16 აპრილი. 17 აპრილს კოვნოს სამხედრო სასამართლოში დაიწყო 47 კომუნისტის საქმის გარჩევა. ბრალდებულ კომუნისტების უმრავლესობა—15-16 წლის ჭაბუკები არიან.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

საიდუმლო ცირკულიარი პროლეტარულ თავდაცვის წინააღმდეგ.

ბერლინი. 15 აპრილი. კომუნისტურმა ორგანომ „როტე ფანემ" გამოაქვეყნა ვეიმანის საიდუმლო ცირკულიარი, რომელიც მიმართულია პროლეტარულ თავდაცვის წინააღმდეგ.

პრესა პუანკარეს სიტყვის შესახებ.

ბერლინი. 16 აპრილი. იხილავს რა პუანკარეს სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა დიუნკირხენში, გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პუანკარე განსაკუთრებით ხაზს უსვამდა თავის სიტყვაში ინგლისის დავას დიუნკირხენის ნავთსადგურის გარშემო. ბერლინის გაზეთი „ლოკალ ანცეიგერი" აღნიშნავს, რომ პუანკარეს სიტყვა მოწმობს იმას, რომ მას ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ და ამის გამო გამოდის იმდენად უფრო გაფთრებით, რამდენადაც უფრო პრობლემატიური ხდება საფრანგეთის პოლიტიკის განხორციელება გერმანიის მიმართ.

ბოლგარეთი.

დასჯის მაგიერ აჯილდოვებენ.

ვენა. 14 აპრილი. „მუშათა გაზეთი" იუწყება იამბოლში 27 მარტს 30 მუშის დახვრეტის შესახებ. დახვრეტილთა შორის 3 კომუნისტია. კომუნისტურმა პარტიამ მთავრობას მოსთხოვა დამნაშავეების დასჯა, მაგრამ დასჯის ნაცვლად მთავრობამ მკვლელებს ჯილდო დაუნიშნა.

ეგვიპტე.

ეგვიპტეს ნაციონალისტების განთავისუფლება.

ბერლინი. 16 აპრილი ინგლისის ხელისუფლებამ განათავისუფლა ციხეებიდან ეგვიპტეს ყველა დაპატიმრებული ნაციონალისტები, ორის გარდა.

ლიტვა.

სამხედრო წესები მემელში.

პარიზი. 16 აპრილი. მთელს მემელის ოლქში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

საალყო წესები მემელში.

ბერლინი. ლიტველ ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს მემელში საალყო წესები.

ჩეხო-სლოვაკია.

სოციალ დემ.—დამბეზღებლები.

პრაგა 16 აპრილი. „რუდე-პრავოს" ცნობით, სოციალ-დემოკრატების დაბეზღების შედეგათ, აღმოსავლეთ სლოვაკიაში დატუსაღებული არიან რამოდენიმე კომუნისტური მოღვაწე.

იაპონია

სოციალისტების დატუსაღება.

ტოკიო. 16 აპრილი. კიოტოში დღესასწაულების დროს რევოლიუციონურ აგიტაციის ასაცილებლათ პოლიციამ დაატუსაღა 70 ადგილობრივი სოციალისტი.

პოლონეთი

ფინეთ-პოლონეთის ურთიერთობა.

ვარშავა. 17 აპრილი. გაზეთი „კურიერ პოლსკი" იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფინეთის პრესა მტრულათ არის განწყობილი პოლონეთის მიმართ ფინეთის გაზეთები ბეჭდავენ წერილებს ბალტიის კავშირის წინააღმდეგ და კრიტიკას უწევენ პოლონეთის სასარგებლოთ მიმართულ ანტანტის ყოველ ნაბიჯს.

დანია

კატასტროფა ცემენტის ქარხანაში.

ბერლინი. 18 აპრ. კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ალბორგში ცემენტის ქარხანაში დაინგრა რკინის მილი, სიმაღლით 25 საჟენი. დანგრეულ მილის ქვეშ მოექცა შენობა საორთქლო ქვაბით. ამ კატასტროფას მოყვა შედეგათ მუშების მსხვერპლი. თანდათან გამოაქვთ დახოცილთა გვამები.

რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის შედეგები

გაზეთ „ტრუდ"-ის აზრი.

მოსკოვი 17 აპრილი. „ტრუდ"-ის მოწინავე წერილში, აღნიშნავს რა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმის შედეგებს სწერს: „სესიის ძირითადი საქმე იყო მუშათა კავშირების რევიზია. ამ რევიზიამ გამოამჟღავნა შეურყევლობა იმ ძირითად გზისა რომელიც აიღო რუსეთის მოძრაობამ მუშაობის ახალ მეთოდებზე გადასვლისას და დაამტკიცა თვით მოძრაობის აბსოლიუტური მთლიანობა.

ძველი გზის გადახედვა.

დაამტკიცა რა, რომ დღევანდელი მომენტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური დაგროვება და დაადუსტურა რა ცენტრალურ საბჭოს წარსულ სესიის დადგენილებები ხელფასის საკითხების შესახებ, მესამე სესიამ აღნიშნა, რომ საკითხი დაგროვების შესახებ იმყოფება არა ხელფასის საკითხთა გადახედვის სფეროში, არამედ მეურნეობრივ უწესრიგობასთან და ნამდვილ, არა ფაქტიურ სამეურნეო ანგარიშისათვის ბრძოლის სფეროში. პრაქტიკული დასკვნა აქედან ის არის, რომ აუცილებლათ საჭიროა კავშირის ეკონომიურ მუშაობის გაძლიერება. მაგრამ სესიამ იმავე დროს დაადგინა, რომ მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს უკვე მიღწეულ შედეგების განმტკიცებაზე შრომის პირობების მოწესრიგების დარგში. მთელი მუშაობა მიმართული უნდა იქნეს სიღრმეში, მთელი ყურადღება უნდა მიეკეს მუშაობის ღირსების გაუმჯობესებაზე და მის გაღრმავებაზე.

პარტყრილობის დიდი საკითხი.

აკეთებს რა დასკვნებს მესამე სესიის დადგენილებებიდან, ავტორი ამბობს რომ ამ დადგენილებებს დიდი მნიშვნელობა ექნება პროფესიონალურ მოძრაობისათვის. დადგენილებებს, რომლებშიც მიღებულია სესიის მიერ ხელფასისა და მრეწველობის საკითხების გამო, დიდი მნიშვნელობა ექნება პარტიულ ყრილობისათვის, რომელზედაც მრეწველობის საკითხი დგას, როგორც ერთ ერთი ცენტრალური საკითხი ყრილობის დღის წესრიგისა".

ვლადიმერ ილიჩის პირველი ბეჭდვითი შრომები.

მოსკოვი. 18 აპრილი. „პრავდა"-ში მოთავსებულია ამხ. კამენევის წინასიტყვაობა რ. კ. პ, მიერ გამოცემულ ვლადიმერ ილიჩის პირველ ბეჭდვითი შრომებისათვის. ილიჩის შრომა, რომელიც 13 წლის განმავლობაში ეგდო სხვა და სხვა „ოხრანკებში" და რომელსაც იცნობდა მარქსიზმის პირველ მუშაკთა მცირე წრე, უეჭველად წარმოადგენს რევოლიუციონურ პუბლიცისტიკის ერთ-ერთ საუკეთესოთაგან ნაწარმოებს.

პროლეტარული ძალა.

ახალგაზრდა პროლეტარიატის სტიქიური ძალა, იმ პროლეტარიატის რომელსაც მეოთხედ საუკუნის შემდეგ ბედმა არგუნა გახსნა პროლეტარულ რევოლიუციის ერა, გამოსჭვივის ამ ნაშრომის ყოველ სტრიქონში. ეს ძალა უდევს საფუძვლად იმ დიდებულ ზიზღს საზოგადოებრივ აზრის ცნობილ ავტორიტეტისადმი იმ იდეიურ სითამამესა და უარყოფას რომლითაც გაჟღენთილია, როგორც დინამიტით, ეს ლიტერატურული ბომბა, ილიჩის მიერ 13 წლის წინეთ გადანასროლი რუსეთის თავად აზნაურობისა და მექარხნეების და თვალ ცრემლიან ხალხის მოყვარულ ინტელიგენტების წრეებში.

რას ასწავლიდა ილიჩი პროლეტარიატს.

ეს წიგნი ასწავლის მარქსიზმს და ზრდის რევოლიუციონურ ნებისყოფას და აზრს. მისი კითხვის დროს პროლეტარული ახალგაზრდობა გაიგებს, რა რიგ შეუძლია მშრალ მსჯელობას და სტატისტიკურ ნუსხებს გონებრივი სიამოვნება განაცდევინოს მკითხველს.

საბოლოვო გამარჯვებისაკენ.

როდესაც მკითხველები წაიკითხავენ წიგნს ბოლომდე, როდესაც მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერულ სოციალიზმის იდეას. რუსეთის მუშის ისტორიულ როლის იდეას მაშინ ის წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს ყველა ქვეყნის პროლეტარებთან ერთათ აშკარა პოლიტიკურ ბრძოლის გზით ძლევამოსილ კომუნისტურ რევოლიუციისაკენ.

„უწმინდესი" კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

მიტროპოლიტი ანტონი ტიხონის შესახებ

მოსკოვი. 18 აპრილი, „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, მოსკოვის მიტროპოლიტმა ანტონიმ განაცხადა, რომ ეკლესიის წესები მეფის და პატრიარქალური პერიოდის განმავლობაში გამსჭვალული იყვნენ მემამულეების და კაპიტალისტების კლასობრივი ინტერესებით. ამიტომ ტიხონის დროის საეკლესიო ხელისუფლებამ უარი სთქვა საბჭოთა ხელისუფლებას პოზიციაზე და შეუძლებელი გახადა მისი დარჩენა ეკლესიის მმართველობის სათავეში, თვით ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის დროსაც, რამაც სავსებით კანონიერად და სამართლიანად გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების ჩარევა ეკლესიის ანტი-სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

ანტონის აზრით, ეკლესიას ესაჭიროება არა პიროვნებათა შეცვლა, არამედ მთელი მისი წესების და ხასიათის გადახალისება.

სრულიად-რუსეთის ეკლესიის სამმართველო ბრალს სდებს ტიხონს.

მოსკოვი. 18 აპრილი. სრულიად-რუსეთის ეკლესიის სამმართველოს საქმეთა მმართველი, ნოვიკოვი ამბობს, რომ სრულიად-რუსეთის ეკლესიის სამმართველო მომხრეა დანაშაულად იქნეს [illegible] მოქმედებებში, რომელშიაც მას ბრალს სდებს საბჭოთა ხელისუფლება. სრულიად-რუსეთის ეკლესიის სამმართველოსათვის უდავოა, რომ ტიხონი იყო მთავარი სულის ჩამდგმელი მემამულეების კონტრ-რევოლიუციისა და თავისი საეკლესიო მდგომარეობის მთელი ავტორიტეტით მხარს უჭერდა თეთრგვარდიელებს. სრულიად - რუსეთის საეკლესიო ყრილობამ უნდა გაასამართლოს პატრიარქი. იმისათვის, რომ ის სისტემატიურად ცდილობდა გამოეყენებია საეკლესიო ორგანიზაცია კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის.

ცდილობენ თავი დააღწიონ „ტიხონოვშჩინა"-ს.

მოსკოვი 18 აპრილი. უკანასკნელ დროს განმავლობაში საზღვარგარეთის მართლ მორწმუნე სამღვდელოება ცდილობს თავი დააღწიოს კარლოვიცის ყრილობის ორგანიზატორის, მიტროპოლიტ ანტონი ხრაპოვიცკის ოპეკას, რომელიც არის ტიხონის წარმომადგენელი საზღვარ-გარეთ. ასეთი ტენდენციისათვის ორგანიზაციური ხასიათის მიცემის მიზნით, განახლებული ეკლესიის ჯგუფები აარსებენ საზღვარ-გარეთ თავიანთი იაჩეიკებს.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

მოსკოვი, 18 აპრილი. ყოფილ ესერების ყრილობის აღმასრულებელ კომისიაში ცხადდება მრავალი ესერი და მთელი ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ესერების პარტიის უკვე უპრალო წევრების ყრილობის დადგენილებებს. ვინაიდან უცხოეთის გაზეთებში და რუსეთის ესერების არალეგალურ პრესაში, ყრილობის მონაწილეებს ცრუ ესერება უწოდებენ, აღმასრულებელ კომიტეტს განზრახვა აქვს გამოაქვეყნოს სია იმ ძველი ესერებისა, რომლებიც შეუერთდენ ყრილობის დადგენილებებს. ასეთების რიცხვი ამ ჟამად უკვე 1000 აემატება. კომისიამ გამოუშვა მიმართვა, რომლითაც დაშლილი ესერების პარტიის წევრები გამოვლენ კომპარტიის მეთორმეტე ყრილობაზე. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ პარტიის ხელმძღვანელი წრეები იმდენად დაეცენ, რომ გადაიქცენ რევოლიუციონერ მუშების და გლეხების ჯალათებათ ესერების პარტია მოკვდა როგორც სოციალისტური ძალა. კაპიტალთან მომავალ ბრძოლაში, ნათქვამია დეკლარაციაში თითეულ სოციალისტისა და რევოლიუციონერისათვის არის მხოლოდ ერთად ერთი ადგილი—კომპარტიის და კომინტერნის რიგები.

უცხოეთის ცხოვრება

რკინის და ფოლადის მსოფლიო წარმოება 1922 წელს.

ამერიკული გაზეთის ცნობით, 1922 წელს რკინის და ფოლადის წარმოებამ დიდათ აიწია 1921 წელთან შედარებით და შეადგენს—49 790 000 ტონნა რკინას. წინაალძდეკ 34 700000 ტონისა და 61.000000 ტონნა ფოლადს. წინაალმდეგ 41.861 000 ტონნისა. წარმოების ზრდა შემჩნეული არის არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც. რკინის და ფოლადის მსოფლიო წარმოებამ უკანასკნელ წელს 42 პროცენტით აიწია, რომელიც ომის შემდეგ უმაღლესი არის. ამერიკის ხვედრათ წარმოების ზრდა რკინაზე 53 პროცენტი მოდის. ხოლო ფოლადზე 55 პროცენტი. საერთოდ, გარდა კანადისა, ჩინეთის და ჩეხოსლოვაკიის, რკინის და ფოლადის წარმოების ზრდა ყველგან არის შემჩნეული.

ტყით შიმშილობა ინგლისში.

ედინბურგის უნივერსიტეტის მეტყეობის პროფესორმა ედვარდ სტებინგმა 7 მარტს წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჩრდილოეთ რუსეთის ტყეები და მათი ეკონომიური მნიშვნელობა". მომხსენებელი ამბობს, რომ ინგლისში დადგება ტყით შიმშილობა და საჭიროა ჩრდილოეთ რუსეთიდან ხე-ტყის გამოზიდვა. ის წინადადებას იძლევა შეიქმნას ბრიტანული სინდიკატი 2 ნახ. მილიონ აკრი ტყის კონცესიის მისაღებათ რუსეთში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ქალი პროფესიულ მუშაობაში

1923 წლის იანვრის პირველში ამსტერდამის საერთაშორისო პროფკავშირთა გაერთიანების რიგებში ირიცხებოდა 3 მლ. ნახ. ქალი ე. ი. 1 | 6 (16 6 პრ.) პროფკავშირთა ყველა წევრების სხვადასხვა ქვეყნებში ქალების პროცენტი ხშირათ აღემატება აღნიშნულ ნორმას, ხან კი ვერ აღწევს მას.

ყველაზე უფრო აქტიურ მონაწილეობას პროფკავშირების მოძრაობაში იღებენ ავსტრიის ქალები, სადაც ისინი შეადგენენ თითქმის ერთ მეოთხედს ყველა მუშებისას. (24,3 პრ.), შემდეგი ადგილი უჭირავს ჩეხოსლოვაკიას (22 პროც.), გერმანიას (21 პროც), შვეიცარიას (18,7 პრ.) და დანიას (18,2 პროც.). დანარჩენ ყველა ქვეყნებში ქალთა პროც. პროფკავშირებში საშუალო დონეზე დაბალია: ინგლისში და იტალიაში—12,5 პროც., საფრანგეთში და შვეციაში—10 პროც., დანარჩენ ქვეყნებში -10 პროც. ნაკლები.

მუშა ქალთა განსაკუთრებული ეროვნული ორგანიზაციები, რომელნიც ემხრობიან ამსტერდამის გაერთიანებას, არიან ინგლისში, ნორვეგიაში, პოლონეთში, სამხრეთ აფრიკაში და კუნძულ კუბაზე; ასეთივე განსაკუთრებული ქალთა ორგანიზაციები, რომელნიც ემხრობიან ამსტერდამის გაერთიანებას, არის აგრეთვე შეერთებულ შტატებში მიუხედავათ იმისა, რომ ორი წლის წინეთ ამ ქვეყნის პროფკავშირები გამოვიდნენ ამსტერდამის საერთაშორისო გაერთიანების შემადგენლობიდან.

რუმინიის პროლეტარიატი ემზადება პირველ მაისისათვის.

ვენა. 14 აპრილი. რუმინიის პროლეტარიატის ორგანიზაციები ენერგიულათ ემზადებიან პირველ მაისის დღესასწაულისთვის, რომელიც უნდა იქნეს პროლეტარიული მასების მჭიდრო კავშირის დათვალიერება. კომუნისტურ პარტიამ წამო ყენა პირველ მაისის ლოზუნგათ საგანგებო მდგომარეობის მოხსნა და საერთო ამნისტია ციხეში მყოფ პოლიტიკურ დამნაშავეთა და ჯარისკაცების შესახებ.

ლატვია.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

რიგა 16 აპრილი. რიგაში და მიულგრაბენში დაიწყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 2,000 კაცი.

მწარმოებლების ცდა, რათა [illegible] მოეწვიათ სამუშაოზე შტრეიკბრეხერები, დამარცხებით დამთავრდა. ვინდავის და ლიბავას მტვირთავებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ. გაფიცულებისათვის მხარის დაჭერას.

უნგრეთი.

გაფიცვა მწვავდება.

ვენა. 14 აპრილი. ბუდაპეშტის ქალაქის თვითმართველობის წარმოებათა მუშების გაფიცვა გამწვავდა, ქალაქის ყველა ფურნეებში და სასაკლაოზე მუშაობა შეწყდა. პოლიციამ აკრძალა გაფიცულთა კრებები.

ამიერ კავკასიის ფურცლები

საქართველო

მუხრანი

(დეპეშა)

აგრარული რეფორმის გატარების ნიადაგზე მოსყიდულ ყაჩაღებმა მოკლეს 15 აპრილს მუხრანის რაიონის ინსტრუქტორი გიორგაძე.

ბათუმი

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი. 17 აპრილი. გემები „სელინა" და „იანელა" იტვირთება 10,000 ტონი ნავთით.

ქალაქის საბჭოში.

ბათომი 17 აპრილი. ქალაქის საბჭოს პლენუმმა დააარსა 8 სექცია. სექციებში ჩაწერა დასრულდა. მუშაობას შეუდგა აგრეთვე საფინანსო სექცია.

ჰიდრო სადგური.

ბათომი. 17 აპრილი. ეკონომიურ თათბირის უკანასკნელ სხდომაზე, ამხ. პეტროვის მოხსენების შემდეგ მდინ. აჭარის წყალზე ჰიდრო-ელექტრიულ სადგურის აშენების შესახებ, დამტკიცდა პირველ პერიოდის სამუშაოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. გადაწყვეტილია სადგურის აშენება მოკლე ვადის განმავლობაში. ეკონომიურ თათბირის დადგენილება დაადასტურა სახკომსაბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც აღნიშნულ მიზნით გაგზავნა მოსკოვში ამ—ბი მსანკვილი პეტროვი და ინჟინერი მაშევსკი.

აზერბეიჯანი

სკოლების აღდგენა.

ბაქო. 17 აპრილი. ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ბაქოს სახალხო განათლების განყოფილებას, რათა უკანასკნელმა მოაწყოს მაზრებში სკოლების შეკეთების კვირეული. აღძრულია შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებით, რათა გამოყოფილი იქნეს ხე-ტყის მასალები სკოლების აღმშენებლობისათვის

ახალი გაზეთები.

ბაქო. 17 აპრილი. შრომის სასახლის ახალგაზრდობის კომკავშირი უშვებს გაზეთს „სემენა"; ამხ. სემაშკოს სახელობის საავადმყოფოს ახალგაზრდობის კომკავშირის იაჩეიკა—გაზეთს—„ნაშა ჟიზნ"; № 1 გამასწორებელი სახლის პატიმრები უშვებენ ხელთნაწერ ჟურნალს „გოლოს იზ ზა რეშიოტკი".

საჰაერო ფლოტისთვის.

ბაქო. 17 აპრილი. ბაქოს საბჭომ შეიტანა 34 000 მან. ოქროთი საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად, რაც უდრის ორი ჰაეროპლანის ღირებულებას კასპიის ზღვის მეზღვაურები აშენებენ საკუთარ ჰაეროპლანს „წითელი მეზღვაური"-ს სახელწოდებით. გროვდება შემოწირულება ბაქოს პროლეტარიატის მერვე ჰაეროპლანისათვის

ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტი.

ბაქო. 17 აპრილი. აზერბეიჯანის ცენტრალურმა ალმასკომმა დაადგინა დაითხოვოს დასახიჩრებულ ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტის ძველი შემადგენლობა და შეუერთოს ის სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს.

მუშა-მწერლები.

ბაქო. 17 აპრილი. გაზეთ „შრომის" რედაქცია აწყობს მუშა-მწერლების და პოეტების წრეს.

სომხეთი

სასკოლო საქმე.

ერევანი. 16 აპრილი. სომხეთში მგზავრობიდან დაბრუნებული სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელი იუწყება ოქტომბრის განმავლობაში სკოლების მდგომარეობის შესახებ კარაკლისის, ლორისა და დელიჟანის მაზრებში. მიმდინარე სამოსწავლო წელს მუშაობდა ყველა სკოლების 70 პროც. თურქული სკოლები, მასწავლებელთა სიმცირის მიუხედავათ, მაინც იქნენ გახსნილი. თითო მასწავლებელზე 75 მოწაფე ირიცხებოდა. მოწაფე ქალები ლორის მაზრაში—მოწაფეთა მთელ რაოდენობის 32 პროც შეადგენენ, დელიჟანის მაზრაში—35 პროც. მასწავლებელთა რიცხვი სამივე მაზრაში—269 უდრის. მათ შორის ალმასკომის ხარჯზე არიან 47 პროც. გლეხობის ხარჯზე 63 პროც.

ამიერ-კავკასიის შრომის განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი

(მესამე სხდომა)

№ 8. 14 აპრ. ამხ. ბახუტოვის მოხსენების გამო კამათის დასრულების შემდეგ დამზღვევ კასების მდგომარეობის შესახებ, მოხსენებას აკეთებენ ამხ. ცომაია და ავალიანცი; ამის შემდეგ, დებულებების შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

უმუშევრობის საკითხი.

უმუშევართა მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მიქაძე, რომელიც დაწვრილებით ეხება შრომის კომისარიატის ძველს და ახალს კურს უმუშევრობის საკითხებში.

შემდეგ იგი აღნიშნავს უმუშევართა ზრდას და საჭიროდ სთვლის შრომის ბირჟასთან და სამეურნეო ორგანოებთან დაარსდეს კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს შრომის ბაზრის მოწესრიგებას.

(მეოთხე სხდომა).

თავმჯდომარეობს ამხ. ოსიპიანი. დღის წესრიგში დგას მორიგი საკითხი შრომის დაცვის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ამხ. გოდაბრელიძე. მოხსენების ძირითადი დებულებები მოკლედ შემდეგია:

შრომის დაცვის მინიმუმის გატარება.

თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, როდესაც მთელი ყურადღება მიქცეულია დაშლილ სახალხო მეურნეობის აღდგენისაკენ, შრომის დაცვის დარგში უნდა ვეცადოთ რამენაირად გავატაროთ მინიმალური, ეკონომიურის თვალსაზრისით მისაღწევი ნორმები. შრომის კანონმდებლობის სფეროში, ჩვენ მაქსიმალურ დეკლარატიულ ხასიათის ნორმების მაგიერ, რომელთაც აქამდე ადგილი ჰქონდათ, (უნდა გადავიდეთ) ჩვენ უნდა მივიღოთ ისეთები, რომელთა გატარება ცხოვრებაში შესაძლებელია.

შრომის კანონების კოდექსი.

შრომის კანონების ახალი კოდექსი სრულ გარანტიას იძლევა შრომის მინიმალურ ნორმების გასატარებლად. ამ მინიმუმის გაფართოება შეიძლება შეთანხმების გზით კავშირებსა და სამეურნეო ორგანოებს შრომის (ინდივიდუალური, კოლექტიური ხელშეკრულებები). ყველა სავალდებულო დადგენილებები შრომის დაცვის დარგში უნდა იცემოდეს პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების შეთანხმებით.

შრომის დაცვის ნორმების გატარება.

უნდა ვეცადოთ, რათა შრომის ორგანოებმა ენერგიულად და უნაკლულოდ გაატარონ ცხოვრებაში შრომის კანონმდებლობის რეალური ნორმები. ნორმების დამრღვევნი პასუხისგებაში მიცემულ უნდა იქნან. პასუხისგება სასამართლოს გზით უნდა წარმოებდეს.

საწარმოო დაწესებულებათა გამოკვლევა.

ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს მახლობელ დროში ყველა მსხვილ და საშუალო სამრეწველო დაწესებულების გამოკვლევა და მათში შრომის სანიტარულ ტეხნიკურ პირობათა ფაქტიური გაუმჯობესობა.

შრომის დაცვის უფლებრივ სფეროში ყურადღება უნდა მიექცეს ზედმეტ მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლას, მუშა-მოსამსახურეთა უმართებულო დათხოვნას სამუშაოდან, შრომის ექსპლოატაციის ფარულ ფორმებს.

შრომის ინსპექტორების მოვალეობა.

შრომის ინსპექტორებმა განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რათა შრომის კანონები ყველა საწარმოო დაწესებულებაში უკლებლივ სრულდებოდეს. მათ აგრეთვე თვალყური უნდა ადევნონ შრომის ხელფასის დარღვევას და შრომის ბირჟის გარეშე სამუშაოზე მიღებას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. არჩეულ იქნა კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად. სხდომა დაიხურა ღამის 1 საათზე.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა ქუთაისის მაზრაში—მარტში.

(დასასრული იხ. გაზ. „კომუნისტი" № 86)

ქალთა შორის მუშაობა. ნორმალურად მიმდინარეობდა აგრეთვე ქალთა შორის მუშაობაც: იქნა მოწვეული ქალთა კრება 5, დელეგატ ქალთა 3, მიწის დამმუშავებელი კომისიის 1 და ერთიც თავშესაფარისათვის საღამოს მომწვევ კომისიის, გაკეთდა მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე. ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი ჩატარებულ იქნა დამაკმაყოფილებლად; ამ მიზნისათვის დღესასწაულის დღისათვის მოწვეულ იქნა უპარტიო ქალთა კონფერენცია, რომელმაც, როგორც აღვნიშნეთ მიიღო უკლებლივ მონაწილეობა დღეობებში.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. სამპარტკომი უწევს შესაფერ ხელმძღვანელობას ახალგაზრდათა კომკავშირს. უკანასკნელის მუშაობის სახელმძღვანელოდ პარტკომისაგან მიმაგრებულია კარგათ მომზადებული პარტ-ამხანაგი. ეწყობა შეერთებული სხდომები კომუჯრედებისა და კომკავშირის უჯრედებისა. არის ურთიერთ შორის წარმომადგენლები.

მუშაობა ტრანსპორტზე. მაზრაში არის ორი კომუჯრედი ტრანსპორტისა—ქუთაისში და სამტრედიაში. ტყიბულის რკინის ხაზზე მომუშავე ამხანაგები მოწყობილ არიან პოლიტ-წრეში. ამ უჯრედებში სამუშაოდ მიჩენილია ამხანაგები და მათი საშუალებით პარტკომს მჭიდრო კავშირი აქვს ნახსენებ უჯრედებთან, კომუჯრედების ღია სხდომებზე, ესწრებიან უპარტიო რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი. ასეთ კრებებზე კეთდება მოხსენებები სხვა და სხვა საგულისხმო მიმდინარე საკითხებზე. ქუთაისის რკინის გზის კომუჯრედთან არსებობს ერთი პოლიტ-წრე, რომელშიაც ირიცხება 35-მდე ამხანაგი (თანამგრძნობი). მეცადინეობა მასში სწარმოებს პარტკომის საგიტ საპროპაგანდო განყოფილების მიერ გამომუშავებული გეგმის მიხედვით. წრეს ხელმძღვანელობს სათანადოდ მომზადებული ამხანაგი. ქუთაისში არის რკინის-გზელების კლუბი და იქ სწარმოებს საკლუბო მუშაობა. გაზეთის გამოწერის საქმე კარგათ არის დაყენებული. რკინის გზის გაზეთებისათვის გამოყოფილია კორესპონდენტები.

მუშაობა პროფ-კავშირებში. პარტკომის ხელმძღვანელობისა და ძლიერი გავლენის ქვეშ კომფრაქციის საშუალებით სწარმოებს მუშაობა პროფკავშირებში. კავშირების გამგეობაში შედის 9 კაცი. მათ შორის 7 კომუნისტია, ერთი მემარცხენე ფედერალისტი და ერთი უპარტიო. ფაბრიკა-ქარხნების და წარმოება დაწესებულებათა ადგილკომებში დამაკმაყოფილებელი განწყობილებაა და კომპარტიის გავლენა მათზე ძლიერია.

საბჭოთა აღმშენებლობა. პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეერთებული მუშაობა საანგარიშო თვეში გამოიხატა ანტი-რელიგიური პროპაგანდის წარმოებაში. გამომუშავებულ იქნა პრაქტიკული ზომები მიწის რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. დამთავრდა აკრეფა სასურსათო გადასახადისა, სწარმოებდა აღმშენებლობის ხასიათის მუშაობა ქალაქებში და სოფლებში. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და სამპარტკომს შორის არსებობს სრული შეთანხმებული კავშირი. ალმასკომში შედის მაზრკომის პრეზიდიუმის სამი წევრი და მაზრკომის პრეზიდიუმში სამი ალმასკომის წევრი.

მიწის რეფორმა ტარდება სასურველად. ადგილობრივი მიწათა კომისიები მიწად მოქმედების განყოფილების მეთაურობით მუშაობენ სათანადოდ.

მარტში მაზრის მიწების დამთვს კომისიის მიერ დაგზავნილ იქნა თემებში ინსტრუქტორები გამოსარკვევად თემებში აკრებილ სათესლე მასალის რაოდენობისა. აგრეთვე, სადაც საჭირო იქნებოდა სათანადო დარიგების მისაცემად, აკრებილია სულ 8234 ფ. ე. ი. ერთი მესამედი მთელი ასაკრები სესხისა. დანარჩენილ ორი მესამედი სესხის ასაკრებად მიღებულია სათანადო ზომები.

ფართე უპარტიო მასის განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიისადმი კარგია. უკანასკნელ დროს ხდება სრული გარდატეხა თვით ანტიკომუნისტურ პარტიებში, რის მაგალითი ე. ი. ოფიციალური უარყოფა ამ პარტიებისა და უპირატესობის აღიარება კომუნისტურ პარტიისა აუარებელია თვით აღნიშნულ პარტიების წევრების მიერ.

სამპარტკომი და ალმასკომი ღებულობენ ყველა მათგან დამოკიდებულ ზომებს კოოპერატიულ მოძრაობის ხელის შესაწყობად: კოოპერატივები განთავისუფლებულ არიან ყოველგვარ ბეგარისაგან და გადასახადებისაგან. ეძლევათ ელექტრონის განათება შედარებით შეღავათიან ფასებში და საზოგადოთ ყოველგვარი ნივთიერი დახმარება.

მუშაობა წითელ არმიაში. აზკომსა და რუსულ-ქართულ წითელ არმიელთა ხელმძღვანელ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანოთა შორის მჭიდრო კავშირია, წარმომადგენლობა სავსებით დაცულია. როგორც რუსულ ისე ქართულ წითელ ჯარის ნაწილებიდან შემოდიან წევრები პარტკომში. პარტკომის მხრივ ამ ნაწილებს შორის სწარმოებს უფრო საგიტაციო მუშაობა. ხშირად იმართება შეერთებული კრებები. ქუთაისსა და მის მაზრაში მდგომ სამხედრო ნაწილებს, როგორც წინა თვეებში, ისე ეხლაც შეფობას უწევს მაზალმასკომი და მისი განყოფილებები, რომელნიც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ წითელი ჯარის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დასკვნა. პარტიული მუშაობა მაზრაში შესაფერ დონეზეა დაყენებული. იქ, სადაც კი არსებობენ კომუჯრედები, მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ზოგიერთ რაიონში არის მხოლოდ პოლიტ წრეები, სადაც სწარმოებს მეცადინეობა. რომ გაუმჯობესებული იქნეს ამ პოლიტ-წრეების მუშაობა, განზრახულია იმ რაიონებში, სადაც პარტკომები არ არსებობენ, პარტინსტრუქტორების დანიშვნა.

ი. შ.

როგორ ჩატარდა ს. იანეთში კომკავშირის აღდგომა

(იანეთი. ქუთაისის მაზრა)

კომუნისტური პარტიის ანტი რელიგიოზურმა პროპაგანდამ აქ მასიური ხასიათი მიიღო, კომკავშირის საშუალებით მრავალ ტანჯული გლეხობა სამუდამოთ განთავისუფლდა რელიგიურ და სხვა გვარ ცრუმორწმუნეობისაგან, ეკლესიის და მღვდლების ბატონობისაგან.

კომკავშირის აღდგომის ჩასატარებლათ ჩვენს თემს ეწვიენ ჩვენი ძველი ამხანაგები. სამხ. რევტრიბუნალის კოლეგიის წევრის გ. ჯვარშეიშვილის ხელმძღვანელობით ეკლესიის შენობა გადაკეთებულ იქნა საკლუბო დარბაზად, რომელსაც ამშვენებდა მრავალი დროშები და კომუნიზმის ბელადების სურათები. შაბათს 7 აპრილს საღამოს გაიმართა გრანდიოზული მიტინგი—სპექტაკლი შემდეგი შინაარსით:

1. მისალმება სარწმუნოების ტყვეობიდან განთავისუფლებულ ხალხს.
2 მოხსენება ამხ. გ. ჯვრიშეიშვილის ს. იანეთის სადგურის აშენების შესახებ.
3. მოხსენება მომენტზე.
4 ლექცია „რელიგია და მეცნიერება".
5. სამღვდელოების გასამართლება.
6. მღვდლები გრიგოლ და ზოსიმეს გოდება (ვაიუის ხმაზე)
7. „საკურთხეველში" ვოდევილი ერთ მოქმედებათ.
8. „ლოთი კაცის სიზმარი". ვოდევილი 1 მოქ.
9. რევოლიუციონური ლექსები და კუპლეტები კომკავშირის წევრებისა.
10. ცეკვა თამაში და სიმღერები.

მიტინგი გაიხსნა ალმასკომის თავმჯდომარის სოლომონ ხეთერელის თავმჯდომარეობით.

მისალმებითი სიტყვებით გამოვიდენ ამხ. გ. ჯვარშეიშვილი, ვასო ლეჟავა და მელ. ჯვარშეიშვილი, რომლებმაც დაასურათეს მოკლეთ საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური ნაბიჯი რელიგიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ და სიხარულით მიესალმენ განთავისუფლებულ გლეხობას.

სადგურის შესახებ ამხ. გ. ჯვარშეიშვილმა მკაფიოთ განუმარტა ხალხს, რომ სადგურის აშენება მუშურ გლეხურ მთავრობის მიერ დამტკიცებულია. მხოლოთ საჭიროა 9000 მ. ოქროთი, რაიც უნდა იქნას აღებული თავისუფალ შემოწირულების სახით.

მაგრამ ამ გადასახადის შესამკირებლათ მიტინგმა აირჩია ამხ. გ. ჯვარშეიშვილი, აკაკი ლეკვეიშვილი, და ვალერიანე ვაშაკიძე, რათა იშუამდგომლონ უმაღლეს მთავრობის წინაშე ამის შესახებ.

შემდეგ ამისა ამხ. გ. ჯვარშეიშვილმა გააკეთა მოხსენება მომენტზე, დაასურათა დასავლეთ იმპერიალიზმის ყაჩაღური პოლიტიკა რურის ოლქში, უმოქმედობა და ღალატი 2 ინტერნაციონალისა, ერთა პარტიის ლიკვიდაცია, მენშევიკური პარტიის რღვევა. მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება მომენტზე ერთხელ კიდევ ზიზღს უცხადებთ იმპერიალიზმის მოციქულებს მენშევიკებს და დროა მათაც მოახდინონ თავის პარტიის ლიკვიდაცია.

შემდეგ ამისა იქნა ამხ. გ. ჯვარშეიშვილის მიერ წაკითხული ლექცია-საუბარი „რელიგია და მეცნიერება" გასაგები ენით თუ როგორ გაჩნდა ქვეყნიერება, დედა-მიწა, ადამიანი, რელიგიის წარმოშობა, მისი ისტორია რელიგიოზური ინკვიზიცია და კონტრევოლიუციონური მოღვაწეობა სამღვდელოებისა. გაისმის ხმები: ძირს სამღვდელოება, სიკვდილი რელიგიას, გაუმარჯოს სინათლეს, მეცნიერებას—კომუნიზმს!

შემდეგ შედგა სამღვდელოების გასამართლება, რომელმაც საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

შემდეგ იწყება წარმოდგენები სამღვდელოების ცხოვრებიდან, რამაც ხალხში დიდი სიცილი და სიამოვნება გამოიწვია.

მიტინგი დაწყებული საღამოს 7 საათზე გათავდა დილის 6 საათზე ხალხი დიდი ნასიამოვნები დაიშალა.

დ. ხეთერელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(18 აპრილი)

ოქროს 10 მან. — 11,100 ათასი
დოლარი — 1,350 „
გირ სტერლინგი — 5,750 „
ლირა — 1,015 „
საბჭოთა ფულის ნიშნ.— 15 „

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(18 აპრილი)

ვალიუტის ბაზრის განწყობილება ხასიათდება ვალიუტის კურსის სიმტკიცით. გუშინდელ დღესთან შედარებით ცვლილება არ არის.

ოფიციალური გარიგება.

(18 აპრილი)

დღეს მოხდა გარიგება ინგლისურ შაბიამანზე „კორონა"-ზე ფუთი 4 მ. 50 კაპ. ფრანკო-სადგური ტფილისი.

ბირჟის მოთხოვნილება.

გრეჩნევი კრუპა- ნაწილევები. შპაგატი. კანიფოლი. კაუსტიური სოდა. ბერტოლეტის მარილი. მზესუმზირას ზეთი. ლურსმნები. ასანთი რუსული- საპნის სუროგატი. რეზინის ნაწარმოები მარცვლეულის და პურის პროდუქტები. შაბიამანი დაფქვილი გოგირდი. მატყლი შუშის და ყაზახის რკინის ლაფათქები. საშენი მასალები.

ძვირფასი ლითონების კურსი

(18 აპრილი)

ოქრო 96 საზ. მისხ ლი—3 მ. 40 კ.
ოქრო 56 საზ.—1 მ. 70 კ.
ვერცხლი 84 საზ.—6,75 კ.
1 მან. ბანკის (ვერცხ.)—40 კაპ
1 მან. ხურდა ოქრო—16.5 კაპ

ვალიუტა ბაქოში.

(17 აპრილი)

ოქროს 10 მან.—11.200
გირ სტერლინგი—7,672
დოლარი—1,601
ლირა—974

ვალიუტა ბათომში.

(17 აპრილი)

ოქროს 10 მან. — 1030 პიასტრი
დოლარი — 145 „
გირ. სტერლინგი — 685 „
ლირა — 680 „

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

შაქარი რაპინადი. ფხვნილი შაქარი. მსუბუქი ავტომობილი. ბაქოს ნარმა. ცემენტი. შაბიამანი. სკიპიდარი. ტყვიის მათეთრი. ოსმალური ჯაგარი. ცხვრის ნაწლავები. რკინის ლაფათქები. შვეიცარიული ყველი. სარდინები. კრუპა. გოგირდი ფქვილი „ნელსონი" და „დურუმი". რუსული ასანთი. მინები. მატყლი. რუსული მანუფაქტურა. საშენი ლურსმნები. რეზინის ნაწარმოები. იტალიური კარბიდი. ჯაგარი დაწმენდილი. საბზა. ჩაი „სოსიფროსი". შაქარი რაფინადი ჩეხო-სლოვაკური.

შერეული საზოგადოებანი სპარსეთთან სავაჭროთ.

ამიერ-კავკასიის საგარეო-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების მიერ მიღებული ცნობით, რუსეთ-აღმოსავლეთის პალატამ მოსკოვში სპარსეთთან სავაჭრო-ურთიერთობის მიზნით-საჭიროთ აღიარა შერეულ სავაჭრო საზოგადოებათა შექმნა. ახლო მომავალში დამუშავებული იქნება ამ საზოგადოებების შექმნასთან დაკავშირებული კითხვები.

თბილისის სადგურზე 17 აპრილს მოსული ტვირთი.

პირდაპირის მარშრუტით—წუმწუმა 425 ყუთი, ქსოვილები—385 შეკვრა, შაბიამანი—38 ბოჭკა, გოგირდი—320 მეშ., მანუფაქტურა—35 ცალი., პურის ფქვილი—207 ც.

ადგილობრივი მარშრუტით—ღვინო—2 ბოჭკა, შაბიამანი—6 ბოჭ., ქვამარილი—2 ვაგონი, ნავთი—5 ცისტერნა, მსუბუქი ნავთი—2 ცისტერნა, მაზუთი—14 ცისტერნა, ქვანახშირი—1 ვაგონი.

ჩვენი ნავთი უცხოეთის ბაზარზე.

არკოსის საშუალებით ჩვენმა ნავთმა სრულიად დაიპყრო აღმოსავლეთის ბაზარი და საკმაო კარგად სალდება სამხრეთ-ევროპაშიც.

მრქოლოპის ფასები.

18 აპრილს.

თეთრი პური—25 ათასი, ყუბანის ფქვილი პირველი ხარისხის—45.000, საპონი „ტოლლე"—120.000, საპონი ადგილობრივი—120 000, მარილი—20 000, საჭმელის ზეთი—130.000, ლობიო—15.000 მ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმათ).

ყუბანის ხორბალი—600—700 ათასი, ადგილობრივი—500—600 ათასი. ლობიო—650—800 ათასი. ფქვილი „ნელსონი"—9, 5 ლირა, ფქვილი „დურომი"—7—7 ნახ. მანეთი. ყუბანის ფქვილი 1 ხარისხის—1500—1600 ათასი მანეთი, „სეიან"-კა—1300—1400 ათასი, ადგილობრივი—750—800 ათასი. შაქარი—რაფინადი ჰოლანდიის ყუთი—35 მანეთი. შაქარი ფხვნილი უცხოეთის—7 მანეთი. შაქარი ფხვნილი რუსეთის—6 მან. 90 კაპ. საპონი ადგილობრივი—5000, მარსელის—23—25 ლირა.

რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ბათომის კანტორამ სტამბოლში გაგზავნა სპარსელი საბზის დიდი პარტია.

ცენტროსოიუზში.

ცენტროსოიუზის ბათომის კანტორამ მიიღო ცნობა, რომ კიევის ბაზრობაზე ამას წინათ გაგზავნილი საქონლის რეალიზაცია კარგათ მიმდინარეობს

ნავთის ექსპორტი.

არკოსს განზრახული აქვს აპრილის განმავლობაში საზღვარ გარეთ ნავთის ექსპორტი 18.000 ტონამდი აიყვანოს,

სასოფლო მეურნეობა

ზემო-იმერეთის მევენახეთა ყრილობა

მიმდინარე თვის ცამეტ რიცხვში წასულ პარასკევს ქალაქ ზესტაფონში შესდგა ზემო იმერეთის მევენახეთა ყრილობა.

მშრომელი გლეხობა დიდი ინტერესით ეკიდება ყოველივე ისეთ მოვლენას, რაც შეეხება მეურნეობას; ზემო იმერეთისათვის მევენახეობას და მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მევენახეები თავის მხრით თავს არ იზოგავენ, მხოლოდ რაიმე ისეთი შეიძინოს, რაც ხსენებულ დარგს წინ წასწევს.

მიუხედავათ ძლიერ ცუდი ამინდისა, გლეხობა მრავლად დაესწრო ყრილობას.

ტფილისიდან ჩამოვიდნენ სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლები და მთავრობის სპეციალისტები, მათ შორის მთავრობის წარმომადგენელი მიწად-მოქმედების კომისრის მოადგილე ამხ ვ. კანდელაკი.

ადგილობრივმა კოოპერ. „იმერეთის" გამგეობამ ბევრი იმუშავა ყრილობის მოსაწყობათ, მთავრობამაც დიდად შეუწყო ხელი, რის გამო ყრილობამ მიიღო საქმიანი ხასიათი; სამწუხაროდ ცუდი ამინდი იყო, ყრილობის გაგრძელება არ შეიძლებოდა და ერთ დღეს დამთავრდა. ყრილობის პროგრამაში საგულისხმო საკითხები იყო დასმული და მათი ერთ დღეს ამოწურვა ამდენა ხალხთან ერთად ძნელი იყო, მაგრამ ამის მიუხედავათ მომხსენებლები შეეცადენ მოკლედ, მაგრამ მაინც ყველაფერი ეთქვათ რაც საგანს შეეხებოდა.

ერთხმად არჩეულმა თავმჯდომარემ ამხ. კანდელაკმა ისე მოხერხებულად აწარმოვა მუშაობა, რომ ყრილობა უთუოდ სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს. მან მილოცვებს ცოტა დრო დაუთმო და უმთავრესი ყურადღება მიაქცია უფრო საჭირბოროტო, სადღეისო საკითხების ახსნა—განმარტებას და მხოლოდ ამაზედ ხსნიდა ფართო ასპარეზს საზოგადო სჯა-ბაასისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის.

გლეხობას თავის მხრით შემოქონდა ნამდვილი სადღეისო საკითხები, რომლებსაც როგორც მომხსენებლები, ისე სხვა მცოდნე და გამოცდილი პირები—ყრილობის წევრები ხალისით უხსნიდენ და უმარტავდენ. გლეხებმა შემოიტანეს შეკითხვები ვაზის ახალი წამლობის წესის შესახებ, მუშაობის გაუმჯობესობაზე, ღვინის დაყენების ახალ წესებზე და სხ.

მათ მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

მომხსენებლად გამოვიდა ექვსი კაცი: ამხ. ქ. ბერეკაშვილი, ჯანაშია, მოდებაძე, მ. მიქელაიშვილი, ინჟენ. ვასილიევი და მასწავლებელი ბეს. კელენჯერიძე.

მოხსენებები იყო საქმიანი და მოკლე, საუბარი და შეკითხვები ჩაყენებულ იქნა სათანადო კალაპოტში.

ქ. ბერეკაშვილის თეზისები: 1. დაარსდეს ზემო—იმერეთში ამერიკული ვაზის სანერგე ჯიშნარი (სორტიმენტი), 2. მოეფინოს მხარეს საცდელი და საჩვენებელი (ცალ-ცალკე) ვენახები, 3. წარმოებულ იქნას ვენახების წამლობა ახალის წესით, 4. მიღებულ იქნას ზომები ვენახების დამუშავების გასაიაფებლად,—ერთხმად იქნა მიღებული. მშრომელმა გლეხობამ თავის მხრით წამოაყენა შემდეგი თეზისები: იცნობთ რა სარგებლობას გაზ „მიწის მუშისას", აუცილებლად გავრცელებულ იქნას ეს გაზეთი ყოველ სოფელში გლეხთა შორის და მისი გამოწერის მოწყობა მიენდოს კოოპერატივ „იმერეთის" გამგეობას, რაც ერთხმათ მიიღეს.

მომხსენებლები ქ. მოდებაძე და მალაქია მიქელაიშვილი შეეხენ ღვინის დახასიათებას და კოოპერატივების მოწყობის საჭიროებას: ამხ. მიქელაიშვილმა მარტივად და ლამაზი ქართულით განმარტა კოოპერატივების და საზოგადო ღვინის სარდაფების დიდი მნიშვნელობა მეღვინეობის განვითარებისათვის, საუცხოვოთ ჩამოაყალიბა ნიმუშები კოოპერატივებისა და მათი კონსტრუქცია და დასკვნა საქმიანათ დაწერილი მოხსენება შემდეგის თეზისით: მევენახეობის და მეღვინეობის განვითარების და წინსვლის უმთავრეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს კოოპერატივები, მევენახეთა კავშირები და საზოგადო ღვინის სარდაფები. ეს საკითხი სრულიად მომწიფებულია ზემო-იმერეთის მშრომელ მევენახე მეღვინეთათვის და განხორციელება ამ სასარგებლო და მორიგი საქმისა აჩქარებულის ნაბიჯით უნდა მოხდეს. დამსწრე საზოგადოებამ ეს სრულის შეგნებით მიიღო ერთხმად.

მასწავლებელი კელენჯერიძე მოხსენებაში სრულის იმედით ასურათებს საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საჭიროებას და მისი მოწყობის შესაძლებლობას და ემყარება ხალხის სურვილზე. მშრომელი გლეხობა თავის მხრით ადასტურებს თავის სურვილებს სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ საკითხის მოსაგვარებლად არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია.

ზემოაღნიშნულ თეზისებს გარდა ყრილობამ გამოიტანა სხვა დადგენილებები, სხვათა შორის: 1. მოეწყოს სასოფლო მეურნეობის კრედიტი, 2. გამრავლებულ იქნას აგრონომების და ინსტრუქტორების რიცხვი და სხ.

იქაური.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **ბრძანება ავტომობილების მიმოსვლის შესახებ.** სამმართველოს განყოფილებამ გამოსცა ბრძანება, თანახმად ალმასკომის № 6 სავალდებულო დადგენილებისა, რომლის ძალითაც აკრძალულია ტვირთმზიდავ ავტომობილების და ფურგუნების მიმოსვლა რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტებზე, სოლოლაკის და ჩერქეზიშვილის ქუჩებზე.

— **მილიციის უფროსის დროებითი ამსრულებელის დანიშვნა.** სამმართველოს განყოფილების დადგენილებით, ტფილისის მილიციის უფროსის ამხ. ხმალაძის ზემო-სვანეთში მივლინების გამო, მისი მოვალეობის დროებითი ამსრულებლათ დაინიშნა ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი ამხ. აბულადიანი.

— **ახალი ნიხრი.** ალმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი ნიხრი ქალაქის სასაკლაოსათვის შემდეგი სახით: მსხვილ ფეხა-საქონელზე—1,615,000 მანეთიდან—1,515,000 მანეთამდე. წვრილ ფეხა საქონელზე—700,000 მანეთიდან—420 ათას მანეთამდე.

განათლების კომისარიატში.

— **პედაგოგიური მუზეუმი.** განათლების სახალხო კომისარიატის ახალ-სენაკის განყოფილება ხსნის პედაგოგიურ მუზეუმს შემდეგი განყოფილებებით: ეტნოგრაფ., საბუნებისმეტყველო ისტორიული და საბავშვო ბაღი. მუზეუმს ექნება საჩვენებელი ხასიათი. შემდეგ განზრახულია მისი მოძრავ მუზეუმათ გადაკეთება რაიონებისათვის.

წითელი ჯვრის საზოგადოებაში.

— **ქალთა კომიტეტი.** წ. ჯ. საზოგადოებასთან არსებული ქალთა კომიტ. უკვე შეუდგა მუშაობას და თავის პირველ სხდომაზე დაადგინა შეცვლილ იქნას ქალთა კომიტეტის სახელწოდება და დაერქვას დამხმარე კომიტეტი. აქვე აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ 1. მარიამ ორახელაშვილი, 2. ნინო მახარაძე, 3. ვერა გეგეჭკორი, 4. ელია კიკალიშვილი და 5 გლეზგინი.

რკინის გზაზე.

— **მზადება 1-ლ მაისისათვის.** რკინის გზის პროფკავშირი უკვე შეუდგა ენერგიულ მზადებას 1 მაისის დღესასწაულისათვის. პროფკავშირი აწარმოებს გაცხოველებულ აგიტაცია-პროპაგანდას აღნიშნულ დღესასწაულის შესახებ რკინის გზის მუშებში ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

— **რკინის გზის პოლიტ-განმანათლებელ მუშაკთა კონფერენცია.** აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში შესდგება ამიერ-კავკასიის რკინის გზის პოლიტ განმანათლებელ მუშაკთა კონფერენცია. კონფერენციის მიზანია, მრავალ საკითხების განხილვის გარდა, გამოიმუშაოს გეგმა ახალი სისტემით პოლიტ განათლების გასავრცელებლათ.

სხვა და სხვა.

— **საქართველოს ექიმთა პირველი ყრილობა.** 16 აპრილს ტფილისში გაიხსნა საქართველოს ექიმთა პირველი ყრილობა, რომელსაც დაესწრო 50 დელეგატი. ყრილობა გაგრძელდება 1 კვირეს.

— **სამოქალაქო აქტების ჩამწერი განყოფილების ცნობები.** მარტის განმავლობაში აღრიცხულია 247 ქორწინება, 50 გაყრა, 8 გვარის შეცვლა, 324 სიკვდილი და 554 დაბადება.

— **რევიზია** თანახმად მთავრობის 11 აპრილის დადგენილებისა, შესდგა საგანგებო კომისია, რომელსაც მიზნად აქვს დაათვალიეროს და მოახდინოს რევიზია საბჭოთა ადგილობრივი დაწესებულებებისა: მაზრების და ქალაქების აღმასკომებისა და მნიშვნელოვანი თემებისა. კომისიაში შედიან პასუხისმგებელი წარმომადგენლები ყველა დაწესებულებებიდან და აგრეთვე პრესის წარმომადგენელნიც. კომისია ამ ჟამად მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში და მუშაობას იწყებს ოზურგეთის მაზრიდან. დასავლეთ საქართველოში მუშაობა დამთავრდება დაახლოვებით 29 მაისს. შემდეგ მოხდება ასეთივე რევიზია აღმოსავლეთ საქართველოში.

— **სამხედრო აღწერა.** ახლო ხანში საქართველოს მთელ რესპუბლიკაში დაიწყება სამხედრო აღწერა. აღწერისათვის სათანადო მუშაობა უკვე დაიწყო.

შემთხვევები.

— **გაქურდვა.** პლეხანოვის პროს. № 174 15 აპრილს ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ლიუბა პანკრატის ასულ ლომიძის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთეულობა 400 მილიონად ღირებული.

— თებერვლის ქ. № 64 14 აპრილს გაქურდეს გრიგოლ გიორგის ძე ბოსტანჯიანცის ბინა, საიდანაც წაიღეს 150 მილიონად ღირებული სხვა და სხვა ნივთეულობა.

— შერემეტიევის ქ. № 15 გაქურდეს არტაშეს მელქუმოვის ბინა, საიდანაც წაღებულია 100 მილ. მანეთის ნივთები.

— გროზნოს ქ. № 4 მოქ. ივანე სტეპანოვის ბინიდან ქურდებმა წაიღეს ას მილიონ. მან. სხვა და სხვა ნივთები.

— კირკის ქ. № 36 ბოროტმოქმედებმა გაქურდეს იოსებ კოკველიას ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთეულობა 105 მილიონი მან. ღირებული.

— **ქალის დაკარგვა.** 6 აპრილს საღამოს 5 საათზე სახლიდან (კუტილევის ქ № 15) გავიდა ნინა სტანისლავის ასული კოროლი, რომელიც შინ აღარ დაბრუნებულა. მიღებულია ზომები მის აღმოსაჩენად.

— მიხეილის ქ № 106 ვიღაც ბოროტმოქმედებს პატრონის შინ არ ყოფნის დროს მორგებული გასაღებით გაუღიათ ვასილ გელიბაშვილის ბინა, საიდანაც წაუღიათ სხვა და სხვა ნივთეულობა 150 მილიონად ღირებული

— **სამკერვალოს გატეხა.** პლეხანოვის პროსპ. № 117 ბოროტმოქმედებმა გამოანგრიეს ნიკოლოზ სარუხანოვის სამკერვალოს ერთი კედელი და გაიტაცეს სხვა და სხვა ტანსაცმელი და მატერიები.

ხელოვნება

— **სალამო ფერეიდნელ ქართველთა საპატივცემლოდ.** ამ დღეებში სახ. 1-ლ კონსერვატორიაში გაიმართება საღამო ფერეიდანელ ქართველების წარმომადგენლის ყოფილი იოსელიანის საპატივცემლოდ. ზაქარია ჭიჭინაძე წაიკითხავს მოხსენებას სპარსელ ქართველების შესახებ. თვით იოსელიანი წარმოსთქვამს სიტყვას. შემდეგ გაიმართება ხალხური სიმღერების კონცერტი.

— **ალ იმედაშვილის ბენეფისი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ნიჭიერ მსახიობის ალ. იმედაშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ივ. მაჩაბელის თარგმანი „მაკბეტ" შექსპირის. მაკბეტის როლს შეასრულებს თვით იმედაშვილი, ხოლო ლედი მაკბეტს დამსახურებული მსახიობი ნინო ჩხეიძე.

— **ქალაქის წყალსადენის მუშების კლუბი.** ქალაქის წყალსადენის მუშების ადგილკომის თაოსნობით გაიხსნა ამავე მუშებისათვის კლუბი. ადგილობრივ მუშებისაგან შესდგა დრამატიული წრე. აღნიშნულ კლუბში უკვე გაიმართა რამდენიმე საღამო და წარმოდგენა.

ია კარგარეთელის იუბილე.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ამა წლის მაისის 5-ს, სახელმწიფო პირველ კონსერვატორიაში იუბილეს უმართავს დამსახურებულ მუსიკოსს ია კარგარეთელს.

— **დრამატიული დასის შედგენა საგარაკო სეზონისათვის.** ბორჯომში და წაღვერში, მომავალი საგარაკო სეზონისათვის უკვე დაიწყო მუშაობა დრამატიული დასების შესადგენათ. განზრახულია წარმოდგენები დაიდგას სისტემატიურათ ქართულ და რუსულ ენებზე. აგრეთვე ხან გამოშვებით გაიმართება კონცერტები.

— **სალამო მუშათა სასარგებლოთ.** შაბათს, 21 აპრილს, საქართველოს პროფკავშირთა კლუბში გაიმართება ტფილისის ტრანსპორტის უმუშევარ მუშების სასარგებლოდ დიდი საღამო.

— **კონცერტი.** 20 აპრილს სახალხო სახლში გაიმართება მომღერალი მარო თარხნიშვილის კონცერტი ფართო პროგრამით.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირი.

კონფლიქტი საპონ-ზეთის ტრესტის გამგეობასთან. საპონ-ზეთის ტრესტის ახალმა გამგეობამ მიიღო ბრალად იცნო ძველ გამგეობასთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულება და მოითხოვდა მის გადასინჯვას. საკითხი გასარჩევად სამედიატორო სასამართლოს გადაეცა, რომელმაც ყველა სადაო პუნქტები მუშების სასარგებლოდ გადასწყვიტა.

კონფლიქტი „ცეკავშირთან". ცეკავშირის საპნის ქარხნის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, წარმოიშვა კონფლიქტი სამუშაო ქირის რაოდენობის შესახებ. კავშირი მოითხოვდა 11 საქონლის მანეთს, „ცეკავშირის" გამგეობა კი იძლეოდა 8 მანეთს. სამედიატორო სასამართლომ დააწესა 10 მ. 60 კაპ.

კოლექტიური ხელშეკრულებები. მარტის განმავლობაში დადებულ იქნა 2 კოლექტიური ხელშეკრულება—1. ტფილისის ქიმიურ ქარხანასთან და ბორჯომის შუშეულობის ქარხანასთან, რომელიც 197 მუშას აერთიანებს.

დახმარება უმუშევართ. კავშირში პირველ აპრილისათვის სულ 113 უმუშევარი ირიცხებოდა. უმუშევართა ფონდიდან დახმარების სახით გაცემულ იქნა 7 500.000 მ., ამის გარდა უმუშევართ ეძლეოდა პური უფასოდ.

კულტმუშაობა. მარტის განმავლობაში მოწვეულ იქნა ერთი კულტ-კონფერენცია. კულტფონდში ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა სულ—123.178 450 მან. გასავალი უდრიდა—160 445 000 მანეთს.

კულტგანყოფილებას მოწყობილი აქვს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები—კ. მარქსის საპნის ქარხანაში, ქართულ და სომხურ ენებზე, ავჭალის და ბორჯომის შუშეულობის ქარხნებში და პირველ საფეხურის სკოლა „25 ოქტომბრის" სახელობის ასანთის ქარხანაში.

პოლიგრაფიულ წარმოების კავშირში.

უმუშევართა ფონდი.

პოლიგრაფიულ წარმოების კავშირის გამგეობის დადგენილებით 1 აპრილიდან დაარსებულია უმუშევართა ფონდი და შემოღებულია 1 პროც. გადასახადი ფონდის სასარგებლოდ.

პროფმუშაობა.

განზრახულია პოლიგრაფიულ განყოფილებიდან გამოიყოს მცოდნე—დახელოვნებული ასოთ-ამწყობნი რომელნიც მოამზადებენ და უხელმძღვანელებენ ახალგაზრდა ასოთამწყობთ.

ჟურნალის გამოცემა.

კავშირის გამგეობამ დაადგინა გამოსცეს თავისი სპეციალური ორგანო „საქართველოს მბეჭდავის" სახელწოდებით.

კოლექტიური ხელშეკრულებები.

კავშირი შემფასებელ-გამანაწილებელ კომისიასთან ერთად შინჯავს ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებებს და ცდილობს მათ შეცვლას მუშების სასარგებლოდ.

მკერვალთა კავშირში.

კამოს სახელობის არტელის დროებით მუშების შესახებ.

მკერვალთა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ამხ. კამოს სახელობის არტელის გამგეს და არტელის ბიუროს გაანთავისუფლოს დროებით მუშები სამუშაოსაგან. ვინაიდან არტელს არ აქვს უფლება ისარგებლოს დაქირავებულ შრომით და ყოველგვარი სამუშაო შესრულებულ უნდა იქნას არტელის წევრების მიერ.

კავშირის თანხების უზრუნველყოფა.

მკერვალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: კავშირის ყველა თანხები მათი ღირებულების უზრუნველსაყოფად შეტანილ იქნას სახალხო ბანკში მუშათა მთლიან კოოპერატივის საბანკო ანგარიშზე.

პროვინციაში

დ უ შ ე თ ი

ბავშვების წარმოდგენა

9 აპრილს საღამოს შვიდ საათზედ დუშეთის მუშათა კლუბში, შრომის მთლიანი სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოწაფეთა მიერ, სცენის მოყვარე ი. მეზრიშვილის დახმარებით წარმოდგენილ იქნა ორი საბავშვო პიესა: „ლადოს ოინები" სამ მოქმედებათ და „ამერიკელნი" ორ მოქმედებათ.

დარბაზი ხალხით გაივსო, მეტი ადგილი ბავშვებს ჰქონდათ დათმობილი.

მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მოწაფეები. თითქმის ყველა მოთამაშეებმა თავისი როლი ზეპირად იცოდნენ. საღამომ ძლიერ მხიარულად ჩაიარა.

დარბაზში დიდი უწესოება და ყრიამული იდგა ბავშვებისაგან; ყურთა სმენა აღარ იყო.

მაგრამ მაკვირვებს ერთი რამ. მოწაფეების მიერ იდგმება წარმოდგენა და არც ერთი მასწავლებელთაგანი არ დაესწრო ამ წარმოდგენას.

რას მიეწერება ეს?

იქნებ მასწავლებლებმა სრულიადაც არ იცოდნენ, თუ მოწაფეები წარმოდგენას მართავდნენ;—მაგრამ არა! ეს ყოვლად შეუძლებელია,—მთელი ორ კვირაზე მეტი ბავშვები წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ და მე მგონი ყოველივე ეცოდინებოდათ.

მაშ რატომ ერთი მასწავლებელთაგანი მაინც არ დაესწრო ამ წარმოდგენას, რომ თვალყური ედევნებინათ მოწაფეთა ყოფაქცევისათვის და წესრიგისათვის, რათა ისეთი ყრიამული და ყვირილი არ ყოფილიყო დარბაზში.

მშობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს მარტის თვეში.

მიმდინარე წლის მარტის თვეში მიმართა ს. პ. კ. ს. იურიდიულ ბიუროს დახმარებისათვის 718 მუშა-მოსამსახურემ შემდეგ საკითხებზე: საბინაო—156, საკონფლიქტო—18, კავშირიდან გამორიცხვისა—2, შრომის ბირჟას რეგისტრაციისა—23, საადგილ-მამულო—33, საოჯახო უფლებებისა—7, ქონებრივისა—90, სისხლის სამართლის—40, დას ხიჩრების—4, სამართალში მიცემულთა ჯამაგირებისა—5, სალიკვიდაციო ჯილდოს მიღების შესახებ—35, სასამართლოებში ბიურო გამოვიდა დასაცველად—44 საქმისა, რომელ რიცხვიდანაც მოგებულია 27, გადადებულია 16 და უშედეგოდ დარჩა 1 საქმე, წერილობითი დასკვნა—2, წერილობითი ხელშეკრულების განხილვა—5, წერილობითი რჩევა—100, თანამდებობაში აღდგენის შესახებ—10, სამსახურიდან დათხოვნისა—27, სოციალურ დახმარებისა—32 და სხვა საკითხები—54.

ეს 718 მუშა-მოსამსახურე იყვნენ წევრები შემდეგი კავშირებისა: საბჭოთა მოსამსახურეების 165, განათლების მუშაკთა—33, საექიმო სასანიტარო დარგში მომ.—64, ხელოვნების მუშაკ.—74, გემო-კვების—59, მშენებლობის—59, კომუნალურ მეურნეობის 33, მკერავთა—56, სახალხო მკვებავთა—40, მელითონეთა—24, მ წა-ტყის—21, მქსოველთა—7, სამთო-მადნის 11, ადგილ. ტრანსპ. მომუშ.—21, მბეჭდავთა—19, სახალხო კავშირის—10, მეტყავეთა—9, ზეზე მომუშავეთა—2, ქიმიკოსების—3, თვით კავშირებს და მათ ორგანიზაციებს—26.

აგრეთვე ბიურო აწვდიდა მუშა-მოსამსახურეებს საჭირო ცნობებს სხვადასხვა გაზეთების საშუალებით.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

მუშა ქალი სოფიო გოგაშვილის ოცი წლის სცენაზე მოღვაწეობა

ეს მუშა ქალი, რომელიც 20 წლის განმავლობაში უმწიკვლოდ ატარებდა ხელოვნების დროშას, ნამდვილად მშრომელ ხალხის გულიდგან არის ამოტყორცნილი, ის ნამდვილად მშრომელ კლასის შვილია და თვითონაც მკერავია. ოცი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ და უსასყიდლოთ ემსახურა მან მუშათა კლასს. მაგრამ ქართული ანდაზაა: „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“, სწორედ ასე ითქმის ამ მუშა ქალზე იმიტომ, რომ ჯერ მისი შრომა არავის არ დაუფასებია და ის მაინც გულს არ იტეხს და კიდევ ერთგულად სწევს იმ უღელს, რომელიც ხალხმა მას დააკისრა და რომლის ტარებაც ყველას არ შეუძლია.

მუშა მკერავი ქალი პირველად გამოვიდა სცენაზე 1903 წელში ავლაბარში არაქსიანისეულ თეატრში და მას აქეთ გამუდმებით (განსაკუთრებით) გარე უბნებს ემსახურება. ამხ. სოფიოს უთამაშნია შემდეგ თეატრებში; ავლაბრის, ორთაჭალას კლუბში, მუსულმანთა აუდიტორიაში, საბურთალოს თეატრში, ავჭალის აუდიტორიაში, სახალხო სახლში, მუშათა კლუბში, ტიოლში და მუშტაიდში, ავჭალაში, ნათლუხში და პატარა დარებში. ბოლო წლებში, 10 წლის განმავლობაში ის განუწყვეტლად მოღვაწეობს მუშათა ცენტრში, ნაძალადევის თეატრში.

მისი როლები უმთავრესად მოხუცი ხასიათისაა, როგორც მაგალითად: „ორი ობოლში“—ფროშარი, „ხანუმაში“—დედინაცვალი და სხვა მრავალი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, როგორც სცენის მოყვარეს, მას ღირსშესანიშნავი ადგილი უჭირავს მუშათა თეატრებში და თავის როლებში კარგია. როცა ვინმეს ვაფასებთ, მაშინათვე თვალწინ უნდა დავისახოთ: „რა მიგიცია და რასა სთხოვ“. ოცი წლის განმავლობაში ერთს ხეირიან ხელმძღვანელის ხელში მას არ უმუშავნია, მაგრამ ნიჭიერმა მუშა ქალმა თავისით გაიკვლია თავისი გზა შედარებით კარგად.

მუშა მსახიობ გოგაშვილს საშინელ პირობებში უხდებოდა მუშაობა სცენაზე: დილიდან საღამომდის საკერავ მანქანას უჯდა, ჰკერავდა. საღამოს, დაქანცული მიეშურებოდა თეატრში, რადგანაც მას სწამდა, რომ ეს დიდს ნაყოფს მოუტანდა მშრომელ ხალხს.

დიახ, დიდია მისი ღვაწლი მუშათა კლასის წინაშე.

ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ მკერავ ქალმა, უსწავლელმა, ასეთ დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი და თავისი ნიჭით და უნარით სახალხო სცენის თვალსაჩინო მოღვაწე შექმნა. მუშა ქალი, ამხ. სოფიო დღეს ნაძალადევის თეატრის მსახიობია. 22 აპრილს ნაძალადევის თეატრში ადგილობრივი დრამატიული წრე უმართავს მას საპატივსაცემო საღამოს.

ვიმედოვნებთ, რომ მუშურ გლეხური მთავრობა და მუშათა ორგანიზაციები ღირსეულ პატივს სცემენ მუშა იუბილიარს მისი ოცი წლის მოღვაწეობისათვის—მუშათა მასისთვის.

—შავი.

სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი

მიმდინარე წლის 6 აპრილს აღნიშნულ კომიტეტში შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა საკითხი—სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის მუშა-მოსამსახურეთადმი დავალიანების შესახებ.

აღნიშნულს საკითხზე საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს სახ.-აღმ.-კოლეგიამ და ადგილკომმა, რის შემდეგ კრების მიერ იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც კრება ადასტურებს იმას, რომ კომიტეტის დავალიანება თანამშრომლებისადმი ოთხ ნახევარ მილიარდ მანეთით გამოწვეულია საუწყებათაშორისო მიწერ-მოწერებით იმ საკითხის გარშემო, თუ ვინ იყო ვალდებული მიეცა შრომის ხელფასი მუშა-მოსამსახურეთათვის — სახელმწიფო, თუ უმაღ. სამ. საბჭ. პრეზიდიუმი. თვით სახ.-აღმშ. კომიტეტს მატერიალური და ეკონომიური მდგომარეობა საშვალებას არ აძლევდა დაერიგებია მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირები, ვინაიდან ის არ არის სამეურნეო ორგანო, რომელსაც აქვს თავისი შემოსავალი და სატრიალო თანხა. ის თანხები კი, რომლებიც მიიღო კომიტეტმა, იყო სპეციალური დანიშნულებისა და ხელფასის გასასწორებელი თანხა კი მას არ მიუღია, რამაც სხვათა შორის გამოიწვია მისი დავალიანება და სხვა.

ამავე დროს კრება ერთხმად ადასტურებს მუშა-მოსამსახურეთა მხრივ თავდადებულ, ბეჯით და მუყაით მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯამაგირები დღემდი ვერ მიუღიათ, ამიტომ კრება დაბეჯითებით სთხოვს ყველა ორგანოებს, ვისგანაც ეს დამოკიდებულია და ვინც ამაში დაინტერესებულია, მიიღონ ყოველივე ზომები აღნიშნულ დავალიანების სალიკვიდაციოდ და მუშა-მოსამსახურეთათვის კუთვნილი ჯამაგირების სასწრაფოდ დასარიგებლად.

გ. ოგანეზოვი.

ყოვლად დაუშვებელი მოვლენა.

(საბინაო განყოფილების საყურადღებოდ).

ყოფილი ვარანცოვის, ახლა კომუნარების ქუჩად წოდებული, № 96-ში მოთავსებულია სახლი მოქ. გ. ვიდადოვისა, სადაც სცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურენი. ამ რამოდენიმე თვის წინად ამ სახლის ზემო სართულის სამზარეულოს იატაკი ჩაინგრა და ქვეშ მოყვნენ ცოლ-ქმარნი კახელაშვილები, რომლებიც დაშავდნენ.

ხსენებული იატაკი დღესაც კი უყურადღებოდ არის დატოვებული. სახლის პატრონი ვიდადოვი მას არ აკეთებს. სახურავი დამპალი და გაფუჭებულია და წვიმა ჩამოგვდის ბინებში 7 აპრილს დღის 12 საათზედ ჭერზე დაგროვილ წყლის გამო შიგ მცხოვრებ — მუშა გ. მჭედლიშვილის ოთახის ჭერი დასკდა და ერთი ნაწილი ჩამოინგრა და კინაღამ იმსხვერპლა მისი პატარა ბავშვი. სახლის პატრონმა ამის შემდეგაც ყურადღება არ მიაქცია აღნიშნულ სახლის მდგომარეობას და რემონტს მაინც არ უკეთებს. ჩვენ მდგმურები ამის გამო დიდ შიშ ქვეშ ვიმყოფებით, რადგანაც ყოველ წუთს მოველით მისი დანგრევა-წაქცევას, ამიტომ ვსთხოვთ საბინაო განყოფილებას, რათა მან დანიშნოს სპეციალური ტეხნიკური კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს სახლის უპატრონობა და მიიღოს ზომები მისი ქალაქისათვის გადასაცემად. დროა აილაგმონ გაუსწორებელი სახლის პატრონები.

ინფ. მუშა გ. მ-შვილი.

მუშათა ქრონიკა.

კიდევ შრომის ექსპლოატატორები.

8 აპრილს მე-3-ე რაიონის შრომის ინსპექტორ ამხ. პ სუხორუკოვის მიერ შრომის კანონების დარღვევისათვის შედგენილი აქვს ოქმი ღვინის სარდაფის პატრონს (დიდი ვანის ქ.) **არტემ ოთაროვს**, რომელთანაც მუშაობდა 18 წლის ახალგაზრდა ბაგრატ გადიანცი დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე (გარდა უქმე დღეებისა) ყოველ დღე აძლევდა მას 500 ათას მანეთს თვიურად.

სანგარიშო წიგნაკი არც ამ ახალგაზრდას და არც სხვა მუშებს აღმოაჩნდათ, არც დაზღვეულნი არიან. მუშა სარქის გრიგოროვს, რომელიც წელიწადზე მეტია რაც აქ მუშაობს არც შვებულება და არც საკომპენსაციო ფული მიუღია.

— ამავე დღეს ამხ. სუხორუკოვის რევიზიამ სათუნუქო სახელოსნოში, რომელიც ნერსესოვის ქუჩაზე არის, აღმოაჩინა, რომ სახელოსნოს პატრონი. **აშოტ. ენფიაჯიანცი** ამუშავებდა 3 ხელოსანს ვაგი გოსტანოვს, მირიან შაუმიანცს და ეგორ პირკულოვს. ყველა მუშა შრომის ბირჟის გარეშეა მიღებული, არა აქვთ მათ საანგარიშო წიგნაკები და არც დაზღვეულნი არიან.

უმუშევართა მოძრაობა.

(შრომის ბირჟის ცნობით)

— ამა წლის 1 აპრილიდან 15 აპრილამდე შრომის მიწოდება იყო—მამრობითი სქესის—924, დედრობითი სქესის—402, სულ ორთავე სქესის 1326. ხოლო მოთხოვნილება სამუშაოზე—მამრობით სქესისათვის—291, მდედრობითი სქეს—86—სულ ორთავესათვის 377, სამუშაოზე გაგზავნილთა რაოდენობა უდრის—მამაკაცთა—339, დედაკაცთა—128; სულ სამუშაოზე გაგზავნილია 467 კაცი. ბირჟაში მოსიარულეთა რაოდენობა ამჟამად უდრის მამაკაც. 5,910. დედაკაცთა—4,476, ორთავე სქესის 10,386 აღრიცხვაზე აღდგენილ იქნენ მამაკაცი 25 და დედაკაცი 9.

რაჭა

სწორედ განსაცვიფრებელი ამბავი მომხდარა სულ მოკლე ხანში ქვემო-რაჭაში. წარსულ შემოდგომაზე და ზამთარში გაკეთებულია გზატკეცილი ნიკორწმინდასა და ამბროლაურს შორის სიგანით 7—11 არშინამდე.

მართალია, გამყვანს არ დაუზოგავს ამ მცირე მიწიან მხარეში არც ყანები და არც სამოსახლო, მაგრამ სამაგიეროთ გაკეთებულა საშვილიშვილოდ ისეთი მშვენიერი გზა, რომელსაც წარსულში, მეფეების დროს ოციებისა და ნაცვრის თვალით შეხაროდით, ხოლო ღირსებით ხომ ვერ ვეღირსეთ.

დღეს კი 12 ვერსი გზა ამბროლაურსა და ნიკორწმინდას შუა, სულ აღმართი და დაღმართი სრულიად გასწორებულია, სულ გავაკებულია და ხიდებიც დაგებულია. ახლა ეს გზა ელის ხოლოდ დამტვრეული ქვის დაყრას, რომ ტყიბულსა და ონს შუა ავტომობილებმა და ეტლებმა თავისუფლად იარონ.

ვინც თავისი თვალით არ ნახავს ამ გიგანტურ ნამუშევარს, ის ვერ წარმოიდგენს, რა რიგ მოხერხდა ასე უცებ ამოდენა გზის გაკეთება და მთაგორების გაერთიანება!

ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსნი არიან ინიციატორები და ასეთი საშვილიშვილო საქმის მომწესრიგებელნი.

ეს ყველასათვის აშკარაა და ყოველ რაჭველ მუშა-გლეხს კარგათ ესმის, თუ რას ნიშნავს კარგი გზა, მეტადრე იქ, სადაც განუწყვეტელ ხშირებაშია ხარი და ცხენი, თუ სარჩოს საზიდავად ტყიბულიდან რაჭაში და ან მამულების დასამუშავებლად. მთელ ათი მთის სოფლებს განუწყვეტლივ კავშირი აქვთ ბარის სოფლებთან. ამას თუ ისიც დავუმატებთ, რომ ამ მთის სოფლებიდან მრავალი ყავარი და ხის მასალა მიდის ბარად, მაშინ უფრო ცხადი გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გზის გაკეთებას.

აკი ამიტომაცაა, რომ არც ერთი რაჭველი კრინტს არა სძრავს, რომ მას მარჩენალი ყანა შუაზე გაუჭრეს ან სამოსახლოდან აყარეს; ის გრძნობს ამ დიდი საქმის მნიშვნელობას და უკმაყოფილების სიტყვას ვერც ერთისაგან ვერ გაიგონებთ. კიდევ ვიტყვით, ვაშა რაჭის მოღვაწეებს. პირველი ნაბიჯები თქვენ მიერ უკვე გადადგმულია; გზა მშვენიერი გაგიკეთებიათ, რიონზე და კრიხულაზე ხიდებს აკეთებთ, რიცეულის მდინარეზე ელექტრონის სადგურს აშენებთ. აი, ყოველივე ეს მომასწავებელია იმისა, რომ ჩვენი ბედკრული და ჩამორჩენილი მხარე ცოტათ თუ ბევრად დაუახლოვდება სხვა კულტურულ კუთხეებს.

ს. დათეშიძე.

სურების გზის გარშემო

სურების თემი მოკლებულია გზას. ხალხი პირდაპირ კარჩაკეტილია უგზოობის გამო. აქაურ მცხოვრებლებს, რომელნიც დიდათ არიან დაინტერესებულნი საზოგადო საქმეებით, არც ამ მხრივ დაუკლიათ მუშაობა. მაგრამ ასეთი დიდი საქმისთვის, როგორიც არის ოცდა ხუთ ვერსზე (ჩოხატაურიდან ზემო სურებამდი) გზის გაყვანა, მათი ძალა სუსტია, თუ სახელმწიფო არ დაეხმარა მათ. წინასწარი მუშაობა ამ გზის გარშემო თითქმის შესრულებულია, გაყვანილია და დამტკიცებულია გზის გეგმა, შეძენილია მთავარი საჭირო მასალა, როგორიც არის: ქვის საჭერი და ასაფეთქებელი მასალები და მუშაობა სწარმოებს შეძლებისდაგვარად.

ამ გზის გაკეთება სახელმწიფოს დიდ სარგებლობას მოუტანს და ხალხიც განთავისუფლდება კარჩაკეტილობისაგან. ის უამრავი ტყე, რომელიც აღემატება 140 000 დესეტინას, საძოვარი მთები სადაც ყოველ წლიურად რამოდენიმე ათი-ათასი სული საქონელი იკვებება სხვადასხვა მაზრებიდან, საუკეთესო ხარისხის სურმას მადანი, რომელიც 1908—9 წლებში საზღვარ გარეთაც გაჰქონდათ და მრავალი სხვა, ყველაფერი ეს დღეს თითქმის უქმად რჩება უგზოობის გამო.

ვინაიდან ხალხი დაინტერესებულია ამ გზის გაყვანით და დღემდე მთავრობის დაუხმარებლად განაგრძობს მუშაობას და რადგან გზას სახელმწიფო მნიშვნელობაც აქვს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთავრობის ამ საქმეში ჩარევა, ინიციატივის ხელში აღება და ხალხის გამხნევება იმ ოთხი თემის ხალხის, რომელიც ამ გზას აკრავს მარტო არ შეუძლია შესრულოს თავისი ინიციატივით და საშუალებით ასეთი დიდი საქმე დღევანდელ კრიზისის დროს.

მირ. ეზიეშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმ სრულებელი კომიტეტისა.—

მემკვიდრეობის სამართლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის გამოცემამდე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1 კანონით და ანდერძით დამკვიდრება, ქვემომოყვანილი მუხლების თანახმად, შეიძლება სამკვიდრო ქონების საერთო ღირებულების იმ ფარგლებში, რაც გარდაცვალებულის ყველა ვალის გამოკლებით 10.000 ოქროს მანეთს არ აღემატება.

შენიშვნა. ის უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირთან დადებულ ხელშეკრულებიდან (საიჯარო, საკონცესიო, სანარდო და სხვ.) გამომდინარეობს, როგორც სამკვიდროს დამტოვებელის გარდაცვალების დროს, ისე შემდეგშიაც გადადის კანონით და ანდერძით დამკვიდრების წესისამებრ თვინიერ ამა მუხლში დაწესებული უკიდურესი ღირებულებისა.

2. უკეთუ სამკვიდროს საერთო ღირებულება 10,000 ოქროს მანეთს აღემატება, სახელმწიფო,—ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახით და კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოთ გამოწვეულ კერძო პირთა შორის უნდა მოხდეს სახელმწიფოს დაინტერესებულ ორგანოს სასარგებლოდ გაყოფა ან და ლიკვიდაცია სამკვიდრო ქონების იმ ნაწილისა, რომელიც სამკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ღირებულებას აღემატება.

უკეთუ სამკვიდრო ქონების გაყოფა, ამ ქონების შემადგენელ ნაწილთა ხასიათის გამო, მეურნეობის მხრით ხელსაყრელი არ არის და მოუხერხებელია, უნდა დამყარდეს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირის საერთო მფლობელობა, ან დაწესდეს სათანადო ნაწილის გამოსყიდვის უფლება სახელმწიფოს ან კერძო პირის სასარგებლოდ, თუ ეს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შესაძლებელია.

3. იმ პირთა წრეს, რომელნიც კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოდ უნდა იქნენ გამოწვეულნი, შეადგენენ ხოლოდ პირდაპირი შთამომავალნი (შვილები და შვილის-შვილები), გარდაცვლებულის ცოცხალი მეუღლე, აგრეთვე შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირნი, რომელთაც გარდაცვალებული ფაქტიურად და მთლად ინახავდა თავის სიკვდილამდე არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობაში.

შენიშვნა. მემკვიდრედ შეიძლება იყოს ხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია სამკვიდროს დამტოვებელის სიკვდილის დროს, აგრეთვე მის სიცოცხლეში ჩასახული და მისი სიკვდილის შემდეგ დაბადებული შვილი.

4. კანონით დამკვიდრება ქონებისა, მისი ღირებულების იმ ფარგლებში, რაც პირველ მუხლშია აღნიშნული, შეიძლება ყოველთვის, როდესაც და რამდენადაც იგი ანდერძით არ არის შეცვლილი.

5. კანონით დამკვიდრების დროს სამკვიდრო ქონება უნდა გაყოფილ იქნეს თანასწორ წილად და კაცის თავზე მესამე მუხლში აღნიშნულ ყველა პირთა შორის.

შენიშვნა. სახლის ჩვეულებრივი მოწყობილობა, ფუფუნების საგნების გარდა, არ ჩაითვლება პირველ მუხლში სამკვიდროსათვის—დაწესებულ უკიდურეს ღირებულებაში და გადადის თანასწორად 3 მუხლში ჩამოთვლილ იმ მემკვიდრეებზე, რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, ან იმ პირებზე, რომელნიც ანდერძში არიან აღნიშნულნი.

6. ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვევოდ გაცემული წერილობითი განკარგულება, რომ ქონება მიეცეს მესამე მუხლში აღნიშნულთაგანს ერთს ან რამდენსამე პირს, ან იგი ქონება განაწილებულ იქნეს ყველა ამ პირთა ან მათგან რამდენსამე პირს შორის სხვაგვარი წესით და არა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია 5 მუხლში.

შენიშვნა. 1. მოანდერძეს შეუძლიან კანონით მემკვიდრეობის უფლება მოუსპოს 3 მუხლში აღნიშნულ პირთაგანს ერთს, რამდენსამეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში იმათი წილი, ვისაც მემკვიდრეობის უფლება მოესპო, განაწილებულ უნდა იქნეს დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სამკვიდრო გადადის სახელმწიფოს ხელში.

შენიშვნა 2 მოანდერძეს უფლება აქვს ქონება რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ ღირებულებას არ აღემატება, ან ამ ქონების ნაწილი დასტოვოს კულტურული, განმანათლებელი ან სხვა კანონის არა საწინააღმდეგო საზოგადოებრივი ან და სახელმწიფოებრივი დაწესებულების განკარგულებაში.

7. მოანდერძეს შეუძლიან იმას, ვისაც ანდერძით სამკვიდრო ქონება ეძლევა დააკისროს რაიმე ვალდებულების ასრულება ერთისა, რამდენიმესი ან ყველა დანარჩენი კანონიერი მემკვიდრის სასარგებლოდ, რომელთაც, ამ განკარგულების ძალით, უფლება აქვთ მოსთხოვონ ანდერძით მემკვიდრეს სათანადო ვალდებულების ასრულება.

8. შეიძლება დატოვება ისეთ ანდერძისა, რომელშიაც, იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ანდერძით დანიშნული მემკვიდრე მემკვიდრეობის გახსნამდე გარდაიცვალა, ან მემკვიდრედ დანიშნულმა უარი სთქვა დამკვიდრებაზე, მოანდერძე გამოიწვევს სამემკვიდროდ სხვა რომელსამე კანონიერ მემკვიდრეთაგანს.

9. ანდერძის პროექტი ხელმოწერილი უნდა იქნეს მოანდერძის მიერ და წარდგენილი სახალხო ნოტარიუსისათვის, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლისათვის სიგელთა დავთარში შესატანად. სიგელთა დავთარში შეტანილი და მოანდერძისა, ნოტარიუსისა ან მოსამართლის მიერ ხელმოწერილი ანდერძი დედანად ჩაითვლება.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან მოანდერძეს არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზისა გამო), მის მაგიერ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მესამე პირმა. სიგელთა დავთრიდან ამონაწერი დედნის სამაგიეროა

10. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინად შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცავს ისეთ განკარგულებას, რომელიც კი გათვალისწინებული არ იქნება მერმინდელ ანდერძში. მოანდერძეს შეუძლიან ახალი ანდერძის შეუდგენლადაც გააუქმოს წინანდელი ანდერძი ნოტარიუსისათვის ან სასამართლოში განცხადებით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სიგელთა დავთარში ან სასამართლოს ოქმში, ნოტარიუსი ან მოსამართლე სიგელის ან ოქმის პირს გაუგზავნის იმ ორგანოს, რომელთანაც გაუქმებული ანდერძი ქმნილ იყო.

11. ანდერძი სისრულეში უნდა მოიყვანონ ანდერძით დანიშნულმა მემკვიდრეებმა, უკეთუ მოანდერძემ თვისი ნების ასრულება არ მიანდო განსაკუთრებულ პირს, ანდერძის აღმასრულებელს, მისი თანხმობით, რომელიც მან უნდა განაცხადოს თვით ანდერძშივე ან მასთან დართულ ცალკე განცხადებაში.

12. უთანხმოება და დავა, კერძო პირებს შორის ან კერძო პირებსა და სახელმწიფოს ორგანოთა შორის იმ საკითხების გამო, რომელიც შეეხება სამკვიდრო ქონების შეფასებასა, გაყოფასა და ანგარიშის გასწორების წესს, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

შენიშვნა სამკვიდრო ქონების შეფასება ქალაქში მოხდება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სათანადო დადგენილებაში უსასყიდლოდ გადასასვლელ ქონებაზე სამკვიდროს ბაჟის გამოანგარიშების შესახებ.

13 მემკვიდრეობის გახსნისას სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიება მიღებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეობის გახსნის ადგილას არ იქნება ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე, ან როდესაც მემკვიდრენი არ ჩაიბარებენ სამკვიდრო ქონების მართვა-გამგებლობას.

შენიშვნა 1: უარი დამკვიდრებაზე უნდა განცხადებულ იქნეს სათანადო სასამართლოსადმი სამი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნიდან. იმისი წილი, ვინც კანონით დამკვიდრებაზე უარს განაცხადებს, გადადის სხვა მემკვიდრეებზე 1 და 3 მუხლში აღნიშნული წესითა და ფარგალში.

შენიშვნა 2: თანამყოფ მემკვიდრეს შეუძლიან არ დაუცადოს სხვა მემკვიდრის გამოცხადებას და ჩაიბაროს სამკვიდრო ქონების გამგებლობა: სხვაგან მყოფ მემკვიდრეს თავის დროზე გამოცხადებისას შეუძლიან მოითხოვს სამკვიდრო ქონებიდან თავისი წილი.

14. მემკვიდრეს, რომელიც არ იქნება მემკვიდრეობის გახსნის ადგილას, შეუძლიან ჩაიბაროს სამკვიდრო ქონება პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან, თუ დასაცავი ღონისძიება იქნა მიღებული, ამ ღონისძიების მიღების დღიდან.

შენიშვნა: იმ მემკვიდრის წილი, რომელიც მემკვიდრეობის გახსნის დროს ჯერ დაბადებული არ იქნება, დაცულ უნდა იქნეს და შეიძლება მისი კანონიერი წარმომადგენელის მიერ მოთხოვნილ იქნეს სამი თვის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებიდან.

15 მემკვიდრეების გამოწვევა პუბლიკაციით ან სხვა საშუალებით არ უნდა მოხდეს, მაგრამ იმ ადგილის სახალხო სასამართლომ, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, როდესაც იგი ცნობას მიიღებს სამკვიდროს დამტოვებელის გარდაცვალების შესახებ, უკეთუ იქნება 13 მუხლსა და 14 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პირობები, უნდა მიიღოს სამკვიდროს დასაცავი ღონისძიება. სამკვიდროს დაცვა გრძელდება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან არა უმეტეს ექვსი თვისა.

შენიშვნა 1: სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება იმ ადგილისა, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი უკანასკნელ ხანს ცხოვრობდა, მისი სიკვდილის ამბის გაგებისთანავე მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სათანადო სახალხო მოსამართლეს.

შენიშვნა 2: მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. ის ადგილი, სადაც იგი სიკვდილის წინ მუდმივად ან უპირატესად ბინადრობდა თავისი სამსახურისა და მუდმივი მოსაქმეობის გამო, ან იმის გამო, რომ იქ მისი ქონება იყო.

16. უკეთუ თანამყოფი მემკვიდრენი მომქმედი საწარმოსი (სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოო სახელოსნო და სხვა), ადგილობრივ არ იქნებიან, სახალხო მოსამართლემ უნდა დანიშნოს განსაკუთრებული პასუხისმგებელი მზრუნველი; მზრუნველი უნდა წარადგინოს ისეთმა სახელმწიფო ორგანომ, რომლის გამგებლობაშიაც არის ამგვარივე საწარმო ან დაწესებულება.

17. უკეთუ მემკვიდრენი არ გამოცხადდებიან ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, აგრეთვე უკეთუ მემკვიდრენი უარს იტყვიან დამკვიდრებაზე (8 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), ქონება ბეითალმახად ჩაითვლება და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში გადავა.

18. მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს და აგრეთვე სახელმწიფო, რომლის ხელშიაც ბეითალმანი გადავა, პასუხს აგებენ სამკვიდროს ვალებისათვის, სამკვიდროს ქონების მხოლოდ ნამდვილი ღირებულების ფარგლებში.

შენიშვნა. სამკვიდროს დამტოვებელის კრედიტორი მოვალეა, რათა არ დაჰკარგოს მოთხოვნის უფლება, განაცხადოს თავისი პრეტენზია ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიების მიღების დღიდან.

19. იმას, ვინც კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოდ იქნება გამოწვეული, შეუძლიან ადგილობრივ სახალხო მოსამართლისაგან მიიღოს მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

20. ამა დეკრეტის წესები უნდა შეეფარდებულ იქნეს სამკვიდრო ქონებისათვის, რომელიც ამა დეკრეტის გამოცემამდე მემკვიდრეებს თავისთვის ფაქტიურად არ ჩაუბარებიათ, ან რომლის გამოც არა ყოფილა დადგენილება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა. იმ სამკვიდროს, რომელსაც შეადგენს მსხვილი მრეწველობის საწარმო, და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელი უფლების დამყარების დღიდან (1921 წლ. თებერვლის 25-დან) ამა დეკრეტის გამოცემის დღემდე, უნდა შეეფარდოს ამა დეკრეტის წესი (1 და 3 მუხ.).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 17.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ნუსხა

მარქსისტულ წრეების მეცადინეობისა

1923 წ. 15 აპრილიდან 23 აპრილამდე.

—1. ხუთშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6-8 საათამდე წრე „განათლების მუშაკთა სახლის“ (რუსულ ენაზე) ხელმძღვანელი ამხ. სურევენკოვი

პარტიული

— საქ. კომ. პარტ. ტფ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს ხუთშაბათს, დღის 1 საათზე ტფ. კომ. შენობაში თათბირს პირველ მაისის საზეიმო დღესასწაულის მოწყობის შესახებ.

მოწვეულნი არიან სარაიონო კლუბების გამგეები, რაიონულ საპროპაგანდო-სააგიტაციო განყოფილებათა გამგეები, ტფილისის გარნიზონის ნაწილების სამხედრო კომისრები და ამ.-კავ. საგ. კორპ. ჯარების, ტფილისის გარნიზონის, ტფილისის პოლიტ-განათლების განყოფილების, სკოლის გარეშე განათლების სახლია და პროფ-კავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილებათა წარმომადგენლები.

ტფ. კომ. სააგ.-საპრ. განყ. გამგე ესსენი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში: 1) რიბაკოვა ალექსანდრა, 2) მირიმანოვი იოსები, 3) ბენიამინოვი ისაი, 4) გოგოშიძე ფილიპე, 5) შემელი ლეონიდე, 6) არეშიძე მიხეილ, 7) ეჯუბოვი გიორგი, 8) კალმიკოვი კონსტანტინე, 9) დუმბაძე ევგენი, 10) არლოვ-მალახოვი ვასილ, 11) ლაშხია მიხეილ, 12) ანშელევიჩი იოსები, 13) კობერიძე ანდრია, 14) გლადკოვი რომანი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: ვ. ივანოვი.

აღრიცხვა-სტატისტიკურ განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

პროფესიული.

პროფკავშირთა კულტურული განყოფილება შეუდგა რა საქართველოში შრომის სამეცნიერო ორგანიზაციისათვის კაბინეტის მოწყობას, იწვევს თათბირზე ამ საკითხის შესახებ ამხ ინჟინრებს—ოლევსკის, გოდორსკის და ზავალინს, ექიმებს—სკოროდუმოვს და პინდოევს, პროფესორებს—ანფიმოვს და უზნაძეს, პედაგოგს—მოლოქაევს, პროფკავშირთა მუშაკებს—მიქაძეს, რუბცოვს, ამ-ბს ვირაპს და ბირიუკოვს. თათბირი შესდგება ოთხშაბათს, 18 აპრილს 23 წელ. საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა წითელ დარბაზში (მუშათა სასახლე მეორე სართული).

„განათლების მუშაკთა სახლში“.

— პარასკევს, 20 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ფიზიკო-მათემატიკური ქვე-სექცია აწყობს მერვე ტეხნიკუმში გალაბუევის მოხსენებას შემდეგ თემაზე: ელექტრონი და მატერია თანამედროვე მეცნიერებაში.

პარასკევს 20 აპრილს საღამოს 7 საათზე ქართული ენის ქვე-სექციაში ამხ. ვეფხვაძის მოხსენება თემაზე: ფიზიკის კურსი შრომის სკოლაში სახლია გამგე შიუკაშვილის—კალუენაია.

საემეთამმართველი.

პარასკეობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტეხნიკურ თანამშრომლებთან, რუსულ ენაზე მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

— ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათზე: მეცადინეობა მარქსისტულ წრეში, ამხ. სუროვენკოს ხელმძღვანელობით.

— საქ კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ სალიმოვ-კადოროს და ბაიტ-სტელლეს გამოცხადდენ სამი დღის ვადის განმავლობაში ტფ. კომ. სააღრიცხვო-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში.

ტფ. კ. სააღრ.-სტატ. განყოფ. გამგის მაგიერ ვულფოვიჩი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილება № 25

1923 წ. 17 აპრილიდან.

შინამრეწველობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

ადგენს:

1. შინამრეწველობის ყველა წვრილი წარმოებები და ცალკე შინამრეწველები ვალდებული არიან გატარდენ განსაკუთრებულ რეგისტრაციაში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიური განყოფილების შინამრეწველობის სექციაში ორი თვის განმავლობაში ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, შემოღებული წესის მიხედვით.

შენიშვნა: ა) შინამრეწველობის წვრილი წარმოებები და ცალკე შინამრეწველები ტარდებიან რეგისტრაციაში უშუალოდ ს. მ. უ. ს. შინამრეწველობის განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3), ხოლო პროვინციებში—ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებების საშვალებით. ბ) განცხადებების და სარეგისტრაციო ბარათების მიღებისას გაცემული იქნება სათანადო ბარათები.

2. **ახლად აღმოცენებული** შინამრეწველობის წვრილი წარმოებები ვალდებული **არიან გატარდენ რეგისტრაციაში ერთი კვირის ვადაში, დღიდან მუშაობის დაწყებისა.**

3. ყველა ის წარმოებები, რომლებიც გატარებული არიან რეგისტრაციაში საქართველოს ს. მ. უ. ს. სამრეწველო ინსპექციაში, არ საჭიროებენ ამ რეგისტრაციას.

4. ის პირები და წარმოებები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ გატარდებიან რეგისტრაციაში, გადაიხდიან ჯარიმას 100 მანეთამდე ოქროთი.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **ვ. ავაკოვი.**

კრ. 333 1—1

ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი: **სვიმონიშვილი.**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ა/წ. 17 აპრილს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მათთვის ძვირფასი ამხანაგი

ანნა (ანეტო) ნიკოლოზის ასული

ვიგორბინი

რომლის დაკრძალვა მოხდება 19 აპრილს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან: ბატარეის ქ. № 7. მე X უბანი.

№ 544 1—1

რუსთაველის თეატრი

კრ. 832—1—1

ხუთშაბათს, 19 აპრილს,

მსახიობ

იმედაშვილის

ბენეფისი

„მაკბეტი“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო ოპერა

კრ. 331—1—1

დღეს, 19 აპრილს.

1. ჟიზელი

2 აქტი შახერზადესი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

საჭიროა გერმანული ენის

მასწავლებელი

კერძო პირებისათვის. მოლაპარაკება „კომუნისტი“-ს რედაქციაში. 10—3 საათამდე.

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო

საცსამბო

მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში,

ყველაფერი

ელექტროფიკაციისათვის

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.

კრ. 682—0—19

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—11)

დავკარგე შუშანიკ ნურდხანიანის სახელზე მილიციის მთავარ სამმართველოს მიერ გაცემული პასპორტი ჩაითვალოს გაუქმებულათ. 512—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 2874 მიცემული მილიციის სამმართველოს უფროსიდან გალაქტიონ გიორგის ძე ჩიგოვაძემ,—რასაც ვთვლი გაუქმებულათ. 543—1—1

დავკარგე ეკატერინე ვილჰელმ ვოლდემრის ასულის კრიცის სახელზე გაცემული ყოფილ ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ პასპორტი № 2032. ჩაითვალოს გაუქმებულად. (535 2—2)

[illegible]